# 2015 თბილისი ბრნო

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი

European Youth Olympic Festival TBILISI 2015



პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 ნოემბერი **ორშაბათი** 2010

№281 (13269) ფასი 60 თეთრი




## ევროპა გვენდო

*გია ნაცვლიშვილი*

დიდი ტურნირის მასპინძლობა რომ მოვინდომოთ, კითხვის ნიშნები უკვე მოხსნილია

გვ. 11

საქართველოს პარლამენტის

# ჩრდილო ამერიკა დავჩრდილეთ



გვ. 13



## ბარსა დღეს რეალი

როცა ელ კლასიკოა, ფეხბურთი მსოფლიო კულტურის ნაწილია

გვ. 9



# ლიპარტიამ შედევრი მოქრა

## ტორპედო რვაზე დაცხრა

27.11. ქუთაისი. ცენტრალური.
5000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

0:1 ლიპარტია (58)

| ტორპედო 4-4-2 | ვიტ ჯორჯია 4-4-1-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | ძაძამია |
| ფოფხაძე | ხურცილავა |
| ს. თოდუა | ადამაძე |
| ფარულავა | კასრაძე |
| გურული | ლანიაშვილი |
| ჩხეტიანი | კლიმიაშვილი |
| დილმელაშვილი | ვასაძე |
| დათუნაიშვილი | გურამ გურეშიძე |
| თარხნიშვილი | ზაქრაძე |
| საბანაძე | ლიპარტია |
| ვ. კვარაცხელია | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. გიგატაძე | მ. კოჭლაშვილი |

**ტორპედო**

62. ფოფხაძე - **კემუხტაშვილი**
79. საბანაძე - **კვერნაძე**

*სათადარიგოები: ქვილითაია, მაჭავარიანი, მ. გიგაური, ლომაშვილი, ნ. კვასხვაძე*

**ვიტ ჯორჯია**

67. ზაქრაძე - **ჯანელიძე**
79. ლიპარტია - **გოგიაშვილი**
90. კლიმიაშვილი - **კორიფაძე**

*სათადარიგოები: ა. მიქაბერიძე, გიორგი გურეშიძე, დვალიშვილი, ჭანკვეტაძე*

გაფრთხილება: ჩიმაკაძე (38), ძაძამია (53), გურამ გურეშიძე (55) ჯანელიძე(84)
არბიტრი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

ქუთაისელები „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩს დიდ იმედებს უკავშირებდნენ. გამარჯვების შემთხვევაში „ტორპედო" მეოთხე ადგილზე გადავიდოდა და ლიდერთა ტრიოს ჩაუდგებოდა კვალში, მაგრამ მოგებას ვინ დაეძებს, რიონისპირელებმა ქულაც ვერ მიიღეს და ერთგული გულშემატკივრები შინ განბილებული გაისტუმრეს. **გია გიგატაძის** შეგირდებმა მიმდინარე სეზონში საკუთარ მოედანზე პირველი მარცხი იწვნიეს და ამით „ტორპედოს" რვამატჩიან წაუგებელ სერიასაც დაესვა წერტილი. შეხვედრას ორივე გუნდი დანაკლისით შეხვდა. მასპინძლებმა დისკვალიფიცირებული **თენგიზ ჩიკვილაძე** მოისაკლისეს, რომლის ნაცვლადაც მარცხენა ფლანგზე **გიორგი გურული** გამოჩნდა. თბილისელებმა კი იმავე მიზეზით **გიგა ბეჟვაია** ვერ დაიხმარეს. შეხვედრა საკმაოდ მაღალ ტემპში მიმდინარეობდა, მცირეოდენ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა ისინი ძალიან ერთფეროვნად უტევდნენ. რამდენიმე საგოლე მომენტი მაინც შექმნეს, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ იყოჩაღეს. საერთოდაც, მომენტების შექმნა და რეალიზება „ტორპედოს" აქილევსის ქუსლია. ქუთაისური გუნდის შეტევის პოტენციალის სისუსტეზე 16 ტურში გატანილი ოდენ რვა გოლიც მეტყველებს. რაც შეეხება „ვიტ ჯორჯიას", სტუმრებმა თამაში კონტრშეტევებზე ააგეს, ტერიტორიული უპირატესობა მეტოქეს დაუთმეს, მაგრამ, როგორც კი ბურთს მოიხელთებდნენ, მასპინძლებზე მწვავედ უტევდნენ. განსაკუთრებით **ჯაბა ლიპარტიას** ეფექტური თამაში უნდა გამოვყოთ, რომელმაც აქტიურ თამაშთან ერთად მეორე ტაიმში გოლი-შედევრი „გამოაცხო" და საკუთარ გუნდს გამარჯვება მოაპოვებინა. პროდუქტიულად მოქმედებდა **ირაკლი კლიმიაშვილიც, ბესიკ ჩიმაკაძეს** კი რიგ ეპიზოდებში უფრო მეტი სიზუსტე მართებდა. მატჩის პირველი სახიფათო მომენტი ვიტელებმა შექმნეს – ქუთაისელი მცველების შეცდომის შემდეგ ჩიმაკაძე ურტყამდა, მაგრამ **ომარ მიგინეიშვილმა** შეძლო ბურთის მოგერიება, მასპინძლებმა იქვე მეტად სახიფათო შეტევით უპასუხეს, მცველის შეცდომის შემდეგ მეკარესთან პირისპირ **გივი ჩხეტიანი** აღმოჩნდა, მაგრამ **გიორგი ძაძამიამ** დაასწრო და ვიტელები ხიფათისგან იხსნა. ცოტა ხანში ჩხეტიანს ისევ მიეცა თავის გამოჩენის შანსი, იგი ისევ მარჯვენა ფლანგიდან უტევდა, მაგრამ მისი სახიფათო დარტყმა ხარიხას გადასცდა. 27-ე წუთზე **ლაშა კასრაძემ** ჯარიმიდან ჩაკიდა ბურთი, რასაც ჩიმაკაძის თავური მოჰყვა, მეკარე ცუდ პოზიციაში იყო, მაგრამ დარტყმა იმდენად სუსტი აღმოჩნდა, მოგერიება მაინც მოასწრო. ტაიმის ბოლოს **თემურ ფარულავას** ჰქონდა გოლის გატანის შანსი. კუთხურის შემდეგ კარში თავით გზავნიდა ბურთს, მაგრამ მცირედით ააცილა.

მეორე ნახევრის საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. 58-ე წუთზე კი ლიპარტიამ პატარა შედევრი შემოგვთავაზა. **ბექა ზაქრაძის** ჩაწოდებისა და კლიმიაშვილის თავური პასის შემდეგ მან „ტორპედოს" მთელი დაცვა გააბითურა და საჯარიმოს გარედან მოქნილი დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა–0:1. გაშვებულმა ბურთმა მასპინძლები კიდევ უფრო დააბნია და 66-ე წუთზე ვიტელებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ. ლიპარტია-კლიმიაშვილი-ჩიმაკაძის კომბინაციას ეს უკანასკნელი აგვირგვინებდა, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა და მეკარემ მოიგერია. გიგატაძემ შეცვლებით სცადა მდგომარეობის გამოსწორება, მარჯვენა მცველ **დაჩი ფოფხაძის** ნაცვლად მესამე თავდამსხმელი **ლაშა კემუხტაშვილი** შეიყვანა. მოგვიანებით კი მოედანზე **რევაზ კვერნაძეც** შეუშვა. 67-ე წუთზე ტორპედოელებს ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა ჰქონდათ, **თორნიკე თარხნიშვილის** გადაცემის შემდეგ **ნიკა საბანაძე** ახლოდან ურტყამდა და მეკარე ძაძამიამ იხსნა საკუთარი გუნდი. 77-ე წუთზე **დავით დილმელაშვილის** კუთხურის შემდეგ **ვახტანგ კვარაცხელიას** თავური ასცდა მიზანს. „ტორპედო" ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდა და ბევრსაც უტევდა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ქუთაისელებს მთელი მატჩის განმავლობაში ერთი გააზრებული კომბინაციაც არ გაუთამაშებიათ. მხოლოდ მაღალმა ჩაწოდებებმა და ქაოტურმა შეტევებმა კი შედეგი ვერ მოიტანა. პირიქით, ვიტელებს მატჩის მიწურულს სხვაობის გაზრდა ორჯერ შეეძლოთ - 83-ე წუთზე კლიმიაშვილის უძლიერესი შორეული დარტყმა მეკარემ მოიგერია, 89-ეზე კი კლიმიაშვილის გადაცემის შემდეგ შეცვლაზე შესულმა **გიორგი ჯანელიძემ** მცველებთან ორთაბრძოლაში დაარტყა და ისევ ქუთაისელთა მეკარემ ივაჟკაცა. დარჩენილ დროში მასპინძლებს მატჩის გადარჩენის შანსი აღარ მისცემიათ. სტუმრებმა შეხვედრა მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე და ცხინვალის „სპარტაკთან" მოულოდნელი მარცხის შემდეგ ხასიათი გამოიკეთეს. „ტორპედოს" ხელმძღვანელობა კი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას გუნდის საფუძვლიან გადახალისებაზე ფიქრობს.

**მატჩის შემდეგ**

**მერაბ კოჭლაშვილი** („ვიტ ჯორჯია"): „დღეს მოედანზე ორი თანაბარი ძალის გუნდი იყო. ფეხბურთელები რატომღაც ძალიან ნერვიულობდნენ. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვქონდა და მეტოქესთან შედარებით უფრო ნაკლები წნეხის ქვეშაც ვიყავით. უკეთესი მოედანი რომ ყოფილიყო, ბურთს დავიჭერდით და კარგი თამაშით მაყურებლებს ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანდით. ვფიქრობ, ცუდად არ გვითამაშია და დამსახურებულად გავიმარჯვეთ"

**გიორგი სუხიაშვილი** („ტორპედო"): „ძალიან გვიჭირს საგოლე მომენტების შექმნა და რეალიზება. გოლის გარეშე კი ფეხბურთში რაიმეს მიღწევა შეუძლებელია. კიდევ უფრო მეტს ვიმუშავებთ, რომ ეს პრობლემა გამოვასწოროთ და შედეგიანობა გავზარდოთ."

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# ბარაბაძისთვის შანსი გოლი იყო

27.11. გორი. ქართლი.
200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 2 |
| ბაია | 0 |

1:0. ბარაბაძე (41), 2:0. ბარაბაძე (75. შონიას პასით)

| სპარტაკი 4-4-2 | ბაია 4-5-1 |
|---|---|
| გრიშიკაშვილი | ზარქუა |
| აქუბარდია | კანდელაკი |
| გოიომო | კვესელიშვილი |
| ტეტუნაშვილი | ლ. აკობია |
| ლობჟანიძე | რ. ონიანი |
| კაშია | რიგვავა |
| თ. შონია | ვართაგავა |
| ვ. ბოლქვაძე | მალიჩავა |
| ჭაფოძე | გუგუჩია |
| მ. ბარაბაძე | წურწუმია |
| კლოვისი | ეხვაია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ბ. კვარაცხელია | ე. ქომეთიანი |

**სპარტაკი**

46. ლობჟანიძე - **კორსანტია**
76. კლოვისი - **ნარიმანიძე**
80. ბარაბაძე - **მამულოვი**

*სათადარიგოები: დაუშვილი, ჩალაძე, ალავიძე, კაკაშვილი*

**ბაია**

46. რიგვავა - **შ. ლომია**
46. ეხვაია - **ჩანგელია**
74. წურწუმია - **კუკავა**

*სათადარიგოები: ჯომიდავა, სიხარულია, ქვარცხავა, აფაქიძე*

გაფრთხილება: მალიჩავა (49), ონიანი (60)
არბიტრი: ლ. სილაგავა

სპარტაკი, რომელმაც თერთმეტმატჩიანი მოუგებელი სერია წინა ტურში შეწყვიტა და ჯერაც სატურნირო ცხრილის ფსკერზეა, ბოლო ხანს კარგად ათამაშდა. მართალია, ურიგო გუნდი არც „ბაიაა", მაგრამ ზუგდიდელებს ფინანსური პრობლემები მიეძალათ და შედეგებიც გაუუარესდათ. **ელგუჯა ქომეთიანის** შეგირდებმა მეხუთე ტურია, ვერ გაიტანეს. პირველი ხიფათი მე-4 წუთზე „ბაიას" კართან შეიქმნა, როდესაც **თორნიკე ზარქუასა** და მცველების შეუთანხმებლობით **კლოვისს** უნდა ესარგებლა. „სპარტაკის" შემტევი ლეგიონერი საგოლე მომენტების გაცუდებით გამოირჩა. მართალია, ბევრს მოძრაობდა, სტუმართა მცველებს გამუდმებით აწუხებდა, მაგრამ... მომენტების რეალიზაციით კი ცხინვალელთა მეორე თავდამსხმელმა, ევროპიდან სამშობლოში ახლახან დაბრუნებულმა **მიხეილ ბარაბაძემ** დაგვამახსოვრა თავი. მას სამჯერ მიეცა გატანის შანსი და ორი მათგანი გოლად აქცია.

„ბაიას" მობურთალთ რომ რიგიანად ეთამაშათ, მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა. მე-17 წუთზე **ლუკა გუგუჩიამ** ზუსტი პასით **ირაკლი ეხვაია** გაიყვანა სახეირო პოზიციაზე, მაგრამ ვიდრე ის გადამწყვეტ დარტყმას შეასრულებდა, გრიშიკაშვილმა დაასწრო. ერთ წუთში ეხვაიამ მოძებნა დასარტყმელ პოზიციაზე გასული **ლევან წურწუმია**, თუმცა მანაც დააყოვნა და აქ უკვე **ვალერი ბოლქვაძემ** იმარჯვა ბურთის გამოტანისას. მანვე, ცხინვალელთაგან ერთ-ერთმა საუკეთესომ, მე-20 წუთზე კლოვისს ჩააწოდა კარის სიახლოვეს, მაგრამ „სპარტაკის" ლეგიონერი თავით თამაშისას ძალიან უხეიროდ გაისარჯა. ათ წუთში კლოვისმა ამჯერად ფეხით უშედეგოდ სცადა ბურთის კარში მოთავსება. „ბაია" კი სწრაფი კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ზუგდიდელები ბევრს სცოდავდნენ. გამოუყენებელი მომენტების მიუხედავად, პირველი ტაიმს უგოლოდ მაინც არ ჩაუვლია. 41-ე წუთზე **ლევან ჭაფოძის** ჩაწოდებულზე გამოსულ „ბაიას" გოლკიპერს ბურთი ხელიდან გაუვარდა, რითაც იქვე მყოფმა ბარაბაძემ ისარგებლა და ანგარიში გახსნა — 1:0.

შესვენების მერე შეცვლაზე შესულთაგან ზუგდიდელი **შოთა ლომია** უნდა გამოვარჩიოთ. 55-ე წუთზე სწორედ მისი შორეული დარტყმა ასცდა მცირედით ხარიხას. ცოტა ხანში ლომიასავე ჩაწოდებული ბურთი წურწუმიამ მიწაზე დაუშვებლად გაგზავნა კარისკენ, მაგრამ „სპარტაკი" ხარიხამ გადაარჩინა. მალევე დაულალავი ბოლქვაძის სახიფათო რეიდები ჯერ მარცხენა, ხოლო შემდეგ მარჯვენა ფრთიდან წესების დარღვევით ძლივს აღკვეთეს ზუგდიდელებმა. 75-ე წუთზე ბარაბაძემ **თემურ შონია** გაიყვანა კარის გასწვრივ დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა ცხინვალელთა შუახაზელმა ბურთი ისევ ბარაბაძეს ჩააწოდა, მან კი თავით გადაგზავნა ბადეში - 2:0. ამ გოლმა საბოლოოდ გატეხა „ბაია" და ზუგდიდელებმა მოედანზე ერთმანეთის მისამართით ხმამაღალ საყვედურებსაც უმატეს. იმავდროულად „სპარტაკი" კი დინჯად ირჯებოდა სასურველი შედეგის შესანარჩუნებლად. მეკარესთან თითქმის პირისპირ გასულ ბარაბაძეს მესამედაც შეეძლო სტუმართა დამწუხრება, თუმცა მცველთან ბრძოლაში დაშავდა და მოედნიდან გაიყვანეს. ორიოდ წუთში პრესტიჟის გოლის გასატანად გრიშიკაშვილის კარისკენ დაძრულ „ბაიას" უკანა ხაზი მოუშიშვლდა და მეკარესთან პირისპირ გასულ **შოთა კაშიასაც** შეეძლო სტუმრების დასჯა, მაგრამ ზარქუამ იმარჯვა და დიდი ანგარიშით მოგების საშუალება არ მისცა ცხინვალელებს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი | 16 | 10 | 3 | 3 | 25 | 13 | 33 |
| 2 | ზესტაფონი | 16 | 10 | 1 | 5 | 32 | 12 | 31 |
| 3 | დინამო | 16 | 8 | 5 | 3 | 21 | 9 | 29 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 16 | 7 | 1 | 8 | 17 | 20 | 22 |
| 5 | სიონი | 16 | 5 | 6 | 5 | 11 | 15 | 21 |
| 6 | ბაია | 16 | 5 | 4 | 7 | 15 | 20 | 19 |
| 7 | ტორპედო | 16 | 4 | 7 | 5 | 8 | 9 | 19 |
| 8 | სამტრედია | 16 | 5 | 3 | 8 | 15 | 27 | 18 |
| 9 | კოლხეთი | 16 | 4 | 4 | 8 | 13 | 24 | 16 |
| 10 | სპარტაკი | 16 | 3 | 4 | 9 | 14 | 22 | 13 |

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| მოდებაძე (ოლიმპი) | 9(1) |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 8 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 7 |

**საქართველოს თასი**

**მეოთხედფინალი. I მატჩები**

**1 დეკემბერი**

| | | |
|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | | |
| სიონი-ტორპედო | | |
| ზესტაფონი-ოლიმპი | | |
| გაგრა-დინამო | | |

**მომდევნო ტური**

**5 დეკემბერი**

| | | |
|---|---|---|
| სიონი-ზესტაფონი | | |
| სამტრედია-ოლიმპი | | |
| ტორპედო-სპარტაკი | | |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | | |
| კოლხეთი-ბაია | | |

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდზე და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ

# ფეხბურთს ვერ მოატყუებ!

## ომარ თეთრაძის კონტრშეტევა: მითხარით ცუდი ქართველი და ...



**ომარ თეთრაძემ რუსულ პრემიერლიგაში მეორე გუნდი გადაიყვანა: გასულ წელს მახაჩყალის "ანჟი", წლეულს კი ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგა". თეთრაძე საქართველოშია გაზრდილი, მისი ხელმძღვანელობით "ანჟიში" რვა ქართველი თამაშობდა, "ვოლგაში" კი ედიკ საჯაია, გიორგი ნავალოვსკი, გოჩა ხოჯავა და ოთარ მარცვალაძე არიან. ახალი სეზონიდან ოთხეულს გოგიტა გოგუა და მათე ვაწაძეც შეუერთდებიან – აქედან გამომდინარე, თეთრაძესთან საუბარი საინტერესო იყო.**

**- უპირველესად, რუსულ პრემიერლიგაში გადასვლას გილოცავთ. "ანჟიში" მომხდარიდან გამომდინარე, კითხვა იბადება, დარჩებით "ვოლგაში", თუ იქაც გაურკვევლობაა?**

- დიახ ვრჩები. სხვათა შორის, "ანჟიში" პრობლემების მოგვარება შესაძლებელი იყო, მაგრამ წამოსვლა ვამჯობინე. ეს ჩემთვისაც უკეთესი იქნებოდა და კლუბისთვისაც, წყენაც არ დამრჩენია, კლუბის პრეზიდენტთან დღემდე მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს.

რაც შეეხება "ვოლგას", მიზანი უმაღლეს ლიგაში გადასვლა იყო. იქ წასვლამდე მარცვალაძისა და საჯაიას აზრით დავინტერესდი, რომლებიც უკვე ნიჟნიში თამაშობდნენ. "ვოლგა" ამის შემდეგ ჩავიბარე. რა თქმა უნდა, კარგად მესმოდა, რომ შესაძლო ჩავარდნისთვის პასუხი მომეთხოვებოდა. იმ დროისთვის რვა ტური იყო ჩატარებული და პრემიერლიგაში გადასვლის შანსი თითქმის არ ჩანდა. მიუხედავად ამისა, მე მაინც გავრისკე, რადგან გუნდის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვიყავი. წარმატება კი ბიჭების, კლუბის პრეზიდენტისა და გუბერნიის დამსახურებაა. სერიოზული მხარდაჭერა და პირობები გვქონდა, ძლიერი შემადგენლობა შევკრიბეთ და ერთადერთი პრობლემა შედეგის ჩვენება იყო. კარგი თამაშებიც გვქონდა და ჩავარდნებიც, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიეთ.

**- ამ ყველაფრის მიუხედავად, რუსულ მედიაში "ვოლგას" საეჭვო თამაშებზე წერდნენ.**

- გამარჯვებულს შავ პიარს ყოველთვის უგორებენ. გაიხსენეთ, რას წერდნენ, როდესაც საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში ორი ქართული გუნდი გადავიდა, თითქოს თამაშებს მანდარინითა და ღვინით ვყიდულობდით. ასე რომ, ჭორების გავრცელებით სახელის გატეხის მცდელობა არ მიკვირს. ჩვენი კონკურენტების სურვილი იყო, თავიანთი წარუმატებლობა ჩვენი "ჩაწყობილი თამაშებით" აეხსნათ საკუთარი პატრონებისთვის. მათ ჩვენზე ზემოქმედება სურდათ და პროპაგანდისტული მანქანა აამუშავეს. შავი პიარის შედეგს ვგრძნობდით, რაც ბიჭებზე ცუდად მოქმედებდა. ხშირად გვიწევდა ბიჭების დაწყნარება, ამ ყველაფრისთვის ყურადღება რომ არ მიექციათ.

**- ახლა კონკრეტულ საკითხებზე. ოთარ მარცვალაძე "ანჟიდან" იჯარით დაიმატეთ და მისი საქმე როგორ იქნება?**

- ოთარი "ვოლგას" ფეხბურთელი გახდება. ის "ვოლგაში" "ანჟიდან" იჯარით ჯერ კიდევ ჩემი მთავარი მწვრთნელობის დროს გავუშვი. კონტრაქტში კი მითითებულია, რომ პრემიერლიგაში გადასვლის შემთხვევაში "ვოლგა" მარცვალაძეს გამოისყიდდა და ასეც იქნება.

**- გოგიტა გოგუაც "ვოლგას" ფეხბურთელი გახდა.**

- დიახ, გოგუასთან პირობები შევათანხმეთ და სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ, ისევე, როგორც მათე ვაწაძესთან, რომელმაც ასევე სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. "დინამო"-"სიონის" მატჩსაც დავესწარი, მათეს თამაში რომ მენახა. თუმცა მას ისედაც ვიცნობდი.

**- "ვოლგაში" კიდევ ვინმეს დამატებას აპირებთ?**

- "ქართულ საკითხს" უკვე იმდენჯერ წავაწყდი, მათ შორის "ანჟიშიც", რომ აღარ მინდა, სალაპარაკო გავხადო.

**- პრობლემა სავიზო საკითხების მოუგვარებლობაა თუ გულშემატკივრის დამოკიდებულება?**

- ვიზების გარდა მთავარი მახაჩყალაში ქართველთა სიმრავლე იყო – რვა ფეხბურთელი პლუს სპორტული დირექტორი მამუკა ჯუღელი და მთავარი მწვრთნელიც აქაურები არ ვიყავით?! ამის გამო სირთულეებს ხშირად ვაწყდებოდით. ამიტომ ბიჭებს ვეუბნებოდი, რომ სხვებთან შედარებით მეტი მონდომებით ეთამაშათ, ვინმეს სალაპარაკო რომ არ მისცემოდა.

**- მოგების შემდეგ ზოგჯერ ამდენი ქართველი მოედანზე საქართველოს დროშით გავარდებოდა ხოლმე და რუსეთში ეს არ ესიამოვნებოდათ.**

- ასეთი შემთხვევები იყო. თუმცა მახაჩყალასა და ნიჟნი ნოვგოროდში გულშემატკივარმა ძალიან თბილად მიგვიღო. ინტრიგანი ყველგანაა, ნაციონალური შუღლის გაღვივებას ცდილობდნენ, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ფეხბურთელი რა ეროვნებისაა, მთავარი მისი კლასია. ქართველები ყველგან მომყვებოდნენ, რუსებს კი პერიფერიებში თამაში არ ეხალისებოდათ. ქართველთა სიმრავლის მიზეზით დაინტერესებულ ჟურნალისტებსა თუ გულშემატკივრებს ამას ვპასუხობდი. ბიჭებისთვის ხშირად მითქვამს, თბილისის "დინამოში" რვა რუსი რომ ჩამოიყვანონ, ბევრს ქართველს ხომ არ ესიამოვნება-მეთქი..

უცხოელთა სიმრავლე ნებისმიერი კლუბის გულშემატკივარს აღიზიანებს და მათ გულებს განსაკუთრებული მონდომებით თუ მოიგებ. ამის თაობაზე ჟურნალისტები რომ მომმართავდნენ, კითხვას ვუბრუნებდი – ვთანხმდებოდით, რომ ხოჯავა, ნავალოვსკი, საჯაიაც და მარცვალაძე საჭირო ფეხბურთელები იყვნენ. მოკლედ, ყველა კარგია და რომელი გავუშვა-მეთქი? პასუხი არ ჰქონდათ და, მაშინ რა საჭიროა ეს კითხვა, თუ დასატოვებლები არიან-მეთქი? ამიტომ ვამბობ, რომ ამ აჟიოტაჟის ინიციატორები ბუნებით ინტრიგანი ადამიანები იყვნენ.

**- ქართველი ფეხბურთელები პრემიერლიგაში ითამაშებენ თუ შარშანდელივით ახალი კლუბის ძიება მოუწევთ?**

- გასული სეზონის შემადგენლობის 80 პროცენტს 4 იანვარს ანთალიაში შეკრებაზე წავიყვანთ, მათ შორის ქართველებსაც და შეკრებაზე გამოჩნდება, დარჩენას ვინ დაიმსახურებს. შანსს ყველას მივცემ. მხოლოდ ქართველობის გამო არავის დავტოვებ, პრემიერლიგაში ეროვნება კი არა, კლასი მჭირდება. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთი მოვატყუოთ, მაგრამ ფეხბურთს ვერ მოვატყუებთ.

**- თბილისის "დინამოში" შექმნილ ვითარებას იცნობთ?**

- დიახ, მითხრეს და გული მწყდება, ასეთ სახელოვან კლუბს ფინანსურად რომ გაუჭირდა.

**- კარგად იცნობთ რუსულ საფეხბურთო წრეებს, მათ გემოვნებასა და სურვილებს და თქვენი აზრით, "დინამოს" შესყიდვით რუსი ბიზნესმენები დაინტერესდებიან?**

- მიჭირს იმის თქმაც, რუსები "დინამოთი" დაინტერესდებიან თუ არა. ამ შემთხვევაში მთავარია, ეროვნული პირველობის მიმართ როგორი დამოკიდებულება აქვთ ფეხბურთის ფედერაციას და ქვეყნის ხელისუფლებას.

გულახდილად გეტყვით, რომ საქართველოში ბევრი პრობლემაა. რამდენიმე დღით ჩამოვედი და "დინამო"-"სიონის" მატჩს დავესწარი. ცხადია, ვაწაძეზე დაკვირვებაც მსურდა, რომელიც "ვოლგაში" ავიყვანე. გუნდები ისეთ მოედანზე თამაშობდნენ, სადაც ფეხბურთის ჩვენება შეუძლებელია, მოთამაშეები წვალობდნენ. კლუბის მეპატრონის ძებნა ასეთი პრობლემების მოგვარებით უნდა დაიწყოს. ფულს არავინ დააბანდებს, თუ მიმზიდველი საფეხბურთო გარემო არაა. მთავარია, კლუბს სად და რისთვის ყიდულობ, დღეს კი საქართველოს პირველობა სავალალო მდგომარეობაშია და შესაძლოა, კლუბის ყიდვა მიმზიდველი არც იყოს. თუმცა მაინც მიჭირს დაჯერება, რომ "დინამოს" არავინ გამოუჩნდება.

**- ციმბირში, მაგალითად უკეთესი მოედნებია?**

- ბევრად უკეთესი მოედნებია, მაგრამ ციმბირთან შედარება როგორ შეიძლება, როდესაც საქართველო სამხრეთში მდებარეობს და მოედნების მოვლა ადვილია. ამ მოედნებზე მომავალი ვარსკვლავები როგორ უნდა გაიზარდონ? არადა, ეს საფეხბურთო ქვეყანაა. ისტორია გავიხსენოთ, აქ უამრავი ვარსკვლავი თამაშობდა, მაგრამ წარსულის დიდებიდან არაფერი დაგვრჩა. ამიტომ ყველაფერი ნულიდანაა დასაწყები, იმავე მოედნებისა და სტადიონების კეთილმოწყობით. ფეხბურთელმა თამაშით სიამოვნება უნდა მიიღოს. მე კი ვერ გავარკვიე, რომელი გუნდს რისი უნარი შესწვდა. ასეთ მოედანზე ფეხბურთელების უპირველესი ამოცანა ბურთის კარგად დამუშავებაა, ლამაზ ფეხბურთს კი ვერ აჩვენებს.

დინამო

# ცხოვრება მოსაცდელ დარბაზში

## მასობრივი წამოსვლები დილმიდან: ლორია, თექთურმანიძე, ჯუსი?

თბილისის "დინამოში" ყველა მოლოდინშია – კლუბის მმართველები, ფეხბურთელები, დილმის ბაზის თანამშრომლები... გუნდის მეპატრონემ მასზე უარი თქვა, ახალი მეპატრონისთვის გადაგვილოციაო.

"ის დალოცვილი" კი არსად ჩანს... **მერაბ ჟორდანიამ** უარი თქვა, **ილია კოკაიას** აინტერესებდა, მაგრამ რაღაც აბრკოლებს, **ჯოზეფ კეიზე** აგორებული ხმები ტყუილი გამოდგა. ახალი თბილისური ჭორებით, გუნდის შეძენა **ვლადიმერ გუცაევმა** გადაწყვიტა. თუმცა ეს ხმებიც უსაფუძვლო გამოდგა.

პატარკაციშვილის ოჯახის განცხადების შემდეგ თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები მასობრივად აპირებენ კლუბის დატოვებას - გაურკვევლობა არავის ხიბლავს. ამ ყველაფერს საქართველოს ჩემპიონატში შექმნილი ურთულესი ვითარებაც ემატება და ერთ-ერთმა ფეხბურთელმა გვითხრა კიდეც, სანამ პირველობა ჩაიშლება, დროზე უნდა გავიქცეო.

**მათე ვაწაძის** ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" გადასვლა უკვე ცნობილი ფაქტია და ამ თემას აღარ დავუბრუნდებით.

"დინამოს" შემტევ მოთამაშეებს, **გიორგი თექთურმანიძესა** და **დონალდ ჯუსს** ესპანურ ან ფრანგულ კლუბში მოხვედრის იმედი გაუჩნდათ. სხვათა შორის, ჯუსმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და მისი საქართველოს ნაკრებში გამოყენება შესაძლებელია. დასანანი კი ისაა, ეს ფაქტი მხედველობიდან ყველას რომ გამორჩა – ბოლო დროს დონალდი საქართველოს ჩემპიონატში უხალისოდ თამაშობს, მაგრამ პრინციპულ შეხვედრებსა და ევროთასებზე მაინც იხარჯება და იმასაც ვერ ვიტყვით, რომ უსარგებლო ფეხბურთელია.

თბილისის "დინამოს" პარტნიორი მენეჯერისგან შევიტყვეთ, რომ მოლაპარაკება ფრანგული "ლიგა 1"-ისა და პრიმერადივიზიონის კლუბებთან მიმდინარეობს და მისი შედეგები დეკემბერში გახდება ცნობილი.

იმედი არ უნდა გადავიწუროთ, ადრე თუ გვიან თბილისის "დინამოს" პატრონი გამოუჩნდება, მაგრამ თუ ეს დროულად არ მოხდა, კლუბი წლევანდელ სეზონს ჩააგდებს და ფეხბურთელები გაიქცევიან, ახალ მეპატრონეს მხოლოდ სახელი შერჩება ხელში, გულშემატკივრებს კი "დრიმ თიმის" აღორძინების ლოდინი დიდხანს მოუწევთ.


დინამოს ბაზა ისევ პატრონს ელის

"დინამოს" კი მხოლოდ ხელფასის გამცემი პატრონი ვერ უშველის. ასეთი სხვა კლუბებისთვისაა შევბაა, "დინამო" (მოგვწონს ეს თუ არა) კი საქართველოში რიგით კლუბზე მეტია და მისგან ყოველთვის წარმატებას ველით.

საქართველოში მხოლოდ **ბიძინა ივანიშვილია** იმ მასშტაბის ბიზნესმენი, რომლის "დინამოში" მისვლაზე გულშემატკივრები ოცნებობენ, მაგრამ ეს ძნელი წარმოსადგენია. ბიზნესმენისა და საფეხბურთო სამყაროს რამდენიმე კონტაქტი იმით დასრულდა, რომ ფეხბურთზე გული აუცრუეს: ჯერ საჩხერის "ჩიხურას" აფინანსებდა და სოლიდური თანხების გალების შემდეგ კლუბი უმაღლესი ლიგიდან გავარდა. მაშინ მას ვილაცების კეთილსინდისიერებაში ეჭვი შეეპარა.

შემდეგ იყო შეხვედრა მმართველი საფეხბურთო ორგანიზაციის ადრინდელ წარმომადგენლებთან. მათ ივანიშვილს ფეხბურთის განვითარებისთვის 100 მილიონი ლარის გამოყოფა სთხოვეს, სიამოვნებით, ოღონდ ფულის გასაკონტროლებლად ვიცე-პრეზიდენტად ჩემიანი დანიშნეთო - იყო პასუხი. 100 მილიონის ნაცვლად, ივანიშვილმა ამ ელემენტარულ წინადადებაზე მოულოდნელად უარი მიიღო და ფედერაციასთან ურთიერთობა დაასრულა.

მორაგბეებმა გაცილებით მარტივად და გასაგებად მოახერხეს საკითხის მეცენატთან მიტანა და დღეს მთელი ქვეყნის მასშტაბით რაგბის სტადიონების მშენებლობას სწორედ ივანიშვილი აფინანსებს.


გიორგი ლორია

ჩვენ სხვა ფეხბურთელების ტრანსფერებზე მოვიპოვეთ ინფორმაციები: ახლა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მეკარე **გიორგი ლორიაა.** როგორც შევიტყვეთ, სლოვენიის ნაკრებთან ჩინებულად ჩატარებული შეხვედრის შემდეგ ლაშა-გიორგის მიმართ ინტერესი მკვეთრად გაიზარდა და ბევრი ევროპული კლუბი გააქტიურდა. გიორგი კლუბის შეცვლას აპირებს და ამას არც თბილისის "დინამო" ეწინააღმდეგება. ლორიამ წასვლის სურვილი მხოლოდ ზოგადად დაგვიდასტურა, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, კარიერას სად და რომელ ქვეყანაში გააგრძელებს.

**გვერდი მოამზადა მერაბ მამულაშვილმა**

ფუტსალი. საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა. IV ტური

# ალგო იბერიას ელის

**აჭარა–ჯუნგლები 8:17**

გოლები: ნადარაია (4), დავითაძე (2), ბალაძე, თოდაძე – გოგოხია (5), კვალიაშვილი (4), ჩოგოვაძე (4), სიგუნავა (2), გვარჯალაძე, გიორგაძე

გაფრთხილება: ჯინჭარაძე, საკანდელიძე – აფრიდონიძე

გაძევება: საკანდელიძე (აჭარა)

**თელავი — ალგო 0:8**

გოლები: კაკაბაძე (2), ლუკავა (2), ჭანუყვაძე, კობაიძე, ხოსრუაშვილი, ბობოხიძე

გაფრთხილება: მურველაშვილი (თელავი)

საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ტურში თსუ-სა და "იბერიას" შეხვედრა გადაიდო – უკანასკნელის უეფას ფუტსალის თასზე თამაშის გამო მატჩი მოგვიანებით ჩატარდება. გამართულ შეხვედრებში კი მოულოდნელი არაფერი მომხდარა, ერთი ეგ იყო, ბათუმურ მატჩში 25 გოლი გავიდა, რაც ფუტსალის საზომებითაც ძალიან ბევრია.

"ალგომ" თელავში იოლად გაიმარჯვა და ვინაიდან "იბერიას" მატჩი გადაიდო, ცხრილს სათავეში მოექცა. ერთი კვირის მერე ალგოელები ლიდერობას ან განიმტკიცებენ, ან პირველ საფეხურზე ისევ "იბერია" დაბრუნდება – 3 დეკემბერს "ალგო" და "იბერია" ერთმანეთს ხვდებიან და ჩემპიონატის პირველი წრეც ამ უპრინციპულესი მატჩით დასრულდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალგო | 4 | 4 | 0 | 0 | 27-6 | 12 |
| იბერია | 3 | 3 | 0 | 0 | 40-5 | 9 |
| ჯუნგლები | 4 | 2 | 0 | 2 | 29-29 | 6 |
| თსუ | 3 | 1 | 0 | 2 | 6-11 | 3 |
| თელავი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-21 | 0 |
| აჭარა | 3 | 0 | 0 | 3 | 11-44 | 0 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| რონი (იბერია) | 11 |
| ვასორა (იბერია) | 6 |
| არჩილ სებისკვერაძე (ალგო) | 6 |
| ლაშა კვალიაშვილი (ჯუნგლები) | 6 |
| კახა გოგოხია (ჯუნგლები) | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



● გერმანიიდან საქართველოსთვის



ლუკა ჩხაიძე (მარცხნივ) საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრებთან ერთად

# გერმანულად ნაფიქრი ქართული ოცნება

## ლუკასი, ლუკა და ერთი რამის სიყვარული

ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების ღირსება **ლუკას ჰუფნაგელმა** დაიცვა და ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ერთ-ერთი გამორჩეულიც იყო. ქართველმა გულშემატკივარმა იგი უკვე კარგად გაიცნო, თუმცა მაინც შეგახსენებთ, რომ ჰუფნაგელი დედით ქართველია, მიუნხენის "ბაიერნის" აღზრდილია და ახლაც მის 17-წლამდელთა გუნდში თამაშობს.

ამავე ასაკში და ამავე ქალაქში კიდევ ერთი ისეთი ფეხბურთელი ცხოვრობს, რომელიც დღემდე მიიჩნევა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების კანდიდატად. ლაპარაკია "მიუნხენ 1860"-ის წევრ **ლუკა ჩხაიძეზე**, რომელსაც, მართალია, საქართველოში არასდროს უცხოვრია და მოქალაქეობაც გერმანიისა აქვს, მაგრამ მთელი გულით უნდა საქართველოს ღირსების დაცვა. ლუკამ **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდის შემადგენლობაში ამხანაგურ მატჩებში ითამაშა და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა, მაგრამ ჰუფნაგელისგან განსხვავებით, მისთვის ქართული პასპორტის აღება აქამდე ვერ მოხერხდა და ჩვენი ნაკრების ოფიციალურმა შეხვედრებმაც ჩხაიძის გარეშე ჩაიარა.

"ლელოსთან" საუბარში ლუკამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი და იმედი გამოთქვა, რომ გაისად გაზაფხულზე გასამართ ელიტრაუნდამდე საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს. *"იურიდიულ დეტალებში ვერ ვერკვევი, მაგრამ ზოგადად ვიცი, რომ ამ საკითხზე მუშაობა გრძელდება და სულაც არაა გამორიცხული, ქართული პასპორტი ელიტრაუნდამდე გადმომცენ. ამ საკითხს კი ის ართულებს, რომ, მართალია, დედაც ქართველი მყავს და მამაც, მაგრამ ორივე გერმანიის მოქალაქეა"*, - გვითხრა ჩხაიძემ.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში თამაშის სურვილი კი მას უდიდესი აქვს: *"როგორ არ უნდა მქონდეს?! მე ხომ ქართველი ვარ იმის მიუხედავად, რომ ქართულად ლაპარაკი მიჭირს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა საქართველოს ნაკრების მაისურით თამაში და ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ეს პატივი მხვდა წილად. ქართული პასპორტის მიღების შემთხვევაშიც კი დიდი შრომა დამჭირდება იმისთვის, რომ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მოვხვდე. მერე რა, რომ გერმანიაში ვთამაშობ. საქართველოს ნაკრები ძლიერი გუნდია და იქ კონკურენცია ყველა რგოლში ძალიან მაღალია"*.

ჩხაიძე და ჰუფნაგელი ახლო მეგობრები არიან. ლუკასმა ლუკას თბილისში ჩატარებული შესარჩევი ტურნირის შესახებაც გაუზიარა შთაბეჭდილებები: *"ლუკასმა თბილისური ამბები დეტალურად მომითხრო. აღფრთოვანებულია იმ ატმოსფეროთი, სტადიონზე რომ იყო. საქართველოს ნაკრები ძლიერი გუნდია და ჯგუფიდან დამაჯერებლად გავიდა, ამაში კი გულშემატკივრებმა დიდი როლი ითამაშეს. ჰუფნაგელი სასიამოვნოდ გაოცდა იმ სითბოთი და სიყვარულით, რაც მის მიმართ ქომაგებმა და თანაგუნდელებმა გამოიჩინეს"*.

ჩხაიძემ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში სომხეთში გამართულ შეხვედრებში ითამაშა, სადაც თავდასხმაში გაამწესეს. როგორც გავიგეთ, ლუკა "მიუნხენში" უფრო ხშირად სხვა პოზიციაზე თამაშობს: *"უმეტესად შემტევი ნახევარმცველი ვარ ხოლმე, მაგრამ დროდადრო მეორე ფორვარდის ფუნქციებსაც ვასრულებ. ოღონდ ქართული პასპორტი ავიღო და ვითამაშებ იმ პოზიციაზე, რომელიც საქართველოს ნაკრებს დასჭირდება"*.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერი

# ვაშაძის გოლები და ქულები

ბაქოს „ნეფთჩის" ფარმკლუბ „ნეფთჩი ism"-ში, რომელიც აზერბაიჯანის პირველ ლიგაში ასპარეზობს, ორი ქართველი ფეხბურთელი ირიცხება - დავით შეყილაძე და გიორგი ვაშაძე. 28 წლის მცველი შეყილაძე უკანა ხაზის საიმედო თამაშს განაპირობებს, თავდამსხმელი ვაშაძე კი გოლების სიმრავლით გამოირჩევა - ბომბარდირთა დავაში ექვსი გოლით მეორე ადგილზეა. ახალგაზრდა ფორვარდი პირველივე შეხვედრაში შესრულებული დუბლით მოხვდა ყურადღების ცენტრში. მას მერე გიორგიმ კიდევ გაიტანა გოლები და აზერბაიჯანულმა გამოცემა „ჩემპიონმა" მასზე წერილი გამოაქვეყნა, რომელსაც მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

*„ტანმაღალი და ფიზიკურად ძლიერი თავდამსხმელი გირგი ვაშაძე ტექნიკური თამაშითა და გოლის ალღოთი გამოირჩევა. ის ჯერ მხოლოდ 19 წლისაა და უკვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. გიორგი აზერბაიჯანში ისე მოხვდა, რომ საქართველოს მთავარ ლიგაში არ უთამაშია. ის სამშობლოში პირველ დივიზიონში, ჯერ ჭიათურის „მაღაროელში", მერე კი ქუთაისის „ტორპედოში" გამოდიოდა. ტრავმით გამოწვეული ერთწლიანი პაუზის შემდეგ მშობლიურ „მაღაროელში" შეეცადა რეაბილიტაციას და გუნდთან ერთად ქობულეთში ემზადებოდა. სწორედ ქობულეთში იყო შეკრებაზე ჩასული „ნეფთჩი ism" და მისი თავკაცი ელჩინ გარდახულიევი. მან ვაშაძე ტესტმატჩებში გამოცადა და კონტრაქტიც გაუფორმა. გიორგიმ იმედები გაამართლა - პირველივე შეხვედრაში ორი გატანილი ბურთით გამოირჩა.*

*ბოლო ორ შეხვედრაში გიორგი ვაშაძემ სამი გოლი გაიტანა. „ბაკილისთან" (1:0) და „ანშად პეტროლთან" (2:0) ყველა გოლი მის ანგარიშზეა და მან ამ ორ შეხვედრაში გუნდს ექვსი ქულა შესძინა.*

*„ფიზიკურად ძლიერი თუ არ ხარ, ისე აზერბაიჯანულ კლუბში ჩარიცხვაც კი გაგიჭირდება. მოედანზე გასვლისას ყოველთვის გოლზე ვარ კონცენტრირებული. მნიშვნელობა არ აქვს, ვის ვეთამაშებით, ყოველთვის ვცდილობ, გავიტანო. ვგრძნობ, რომ მწვრთნელი მენდობა და ესეც დიდად მეხმარება. ჩვენი მიზანი პრემიერლიგაში გადასვლაა. ამისთვის მწვრთნელი და კლუბის პრეზიდენტი სადიკ სადიკოვი ყველაფერს აკეთებენ და ჩვენც მათი იმედები უნდა გავამართლოთ", - ამბობს გიორგი ვაშაძე.*

● ლეგიონის უქმეები

# მერებაშვილი სერბეთს კინაღამ სათავეში მოექცა

## იაშვილის ორი და ორიანი

სალპებისპირა ბრეშაში „ჯენოას" მასპინძელთა გუნდთან ერთად თოვლიც დაუხვდა, თუმცა **დავიდე ბალარდინის** სათამაშოდ **კახა კალაძე** არ წაუყვანია, რომელსაც წინა დღეებში კუნთების პრობლემა დაუდგინდა და ექიმებმა ამ ტურის გამოტოვება ურჩიეს. სერია B-ში **ლევან მჭედლიძის** „ემპოლი" შინ 0:1 დამარცხდა „სასუოლოსთან". ლევანმა მეორე ტაიმში ითამაშა და ორ-სამჯერ სახიფათოდაც დაარტყა სტუმართა კარში. „ემპოლი" 25 ქულით მე-7 ადგილზეა. „დატასპორტმა" ლევანის თამაში 6-იანით და კარგი რეცენზიით შეაფასა: *„გუნდში ერთადერთი, რომელიც სერიოზულად დაემუქრა მეტოქის კარს, თუმცა კარგად ვერ ურტყა"*.

**ზურაბ ხიზანიშვილის** „რედინგი" ჩემპიონშიპის ცხრილის შუაში „გაიჩხირა". სანაკრებო პაუზის შემდეგ ქართველი მცველი სათადარიგო იყო, მაგრამ ახლა ისევ დაუბრუნდა სასტარტო შემადგენლობას (დისკვალიფიცირებული **მეთ მილსის** ნაცვლად) - „როიალსმა", როგორც „რედინგს" ნისლიან ალბიონზე ეძახიან, „ლიდსთან" 0:0 ითამაშა. ქართველმა მცველმა ერთხელ თავურით კინაღამ გაიტანა, კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ახლო მანძილიდან დაუხვედრა თავი, მაგრამ ააცილა.

II ბუნდესლიგაში თამაშს მოუკლო ბერლინის „ჰერტამ", გუშინ **ლევან კობიაშვილის** გუნდი მე-3 ადგილზე ჩამოქვეითდა, შინ უშუალო კონკურენტ „დუისბურგთან" 0:2 წააგო. ახლა მათ 29-29 ქულა აქვთ, მაგრამ ბურთების შეფარდება „დუისბურგს" უკეთესი აქვს. ლევანმა 90 წუთი ითამაშა. სტუმართა მეორე გოლში ჩვენებურს ადანაშაულებენ, როცა მას სისწრაფით აჯობა თურქმა **შაჰან ოლჩაიმ** და საგოლე პასიც გააკეთა. ლევანის 57 პასიდან 45 (79%) ზუსტი იყო, კარისკენ ერთხელ დაარტყა. კობიაშვილის თამაში „შპორტალმა" ოთხიანით შეაფასა.



გიორგი მერებაშვილს (მარჯვნივ) გოლს ულოცავენ





ლევან კობიაშვილი

გასავარდნ ზონასთან მიახლოებამ „კარლსრუე" გამოაფხიზლა და **ალექსანდრე იაშვილის** გუნდმა „ობერჰაუზენს" 4:0 მოუგო. მეორე ტაიმის მეორე წუთზე ქართველმა კაპიტანმა ცენტრფორვარდი **ხრიზანტუსი** მოძებნა და მანაც ანგარიში 2:0 გახადა. 65-ე წუთზე იაშვილმა სცადა საჯარიმოში ჩაწოდება, პირველ ჯერზე მცველებმა მოიგერიეს, მაგრამ ქართველმა განმეორებით გადაგზავნა ბურთი საჯარიმოში, სადაც **ციმერმანმა** იყოჩაღა და ანგარიში 3:0 გახადა. ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა მეორე ფორვარდის პოზიციაზე და ორი საგოლე პასიც მიითვალა (20-დან 18 ზუსტი პასი, 2 დარტყმა კარში). „კარლსრუეს" ჯერაც რთულად აქვს საქმე - 13 ქულით მხოლოდ მე-16 ადგილზეა. იაშვილს სეზონში (13 მატჩი) 4 გოლი და ამდენივე საგოლე პასი დაუგროვდა. მან „ობერჰაუზენთან" მატჩში მცველ **სებასტიან ლანგკამპთან** ერთად ძალზე მაღალი შეფასება მიიღო „შპორტალისგან" - 2.

**მერაბ ჟორდანიას** „ვიტესი" „დე გრააფსხაპს" ეწვია და 1:1 დაუზავდა. გუნდმა ოდნავ ამოისუნთქა - 16 გუნდში მე-14 ადგილზეა. **გურამ კაშიამ**, ჩვეულებრისამებრ, 90 წუთი გაატარა მოედანზე, პირველ ტაიმში კი ყვითელი ბარათი მიიღო. „ვიტესის" ესპანელმა თავკაცმა **ალბერტ ფერერმა** აღიარა, რომ ქულა მაქსიმუმია, რაც მის გუნდს ასეთი თამაშით ეკუთვნოდა.

გადავინაცვლოთ სერბეთში, სადაც დუბლით გაგვახარა **გიორგი მერებაშვილმა**. ქართველის „ვოივოდინამ" ნოვი სადში 4:1 გაანადგურა „სმედერევო". მე-4 წუთზე მან მარჯვენა ფლანგიდან მიიღო ბურთი და მასპინძლები დააწინაურა, 21-ე წუთზე კი მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი. „ვოივოდინა" მხოლოდ ორ გრანდს, „პარტიზანს" და „ცრვენა ზვეზდას" ჩამორჩება 3 ქულით, 14 თამაშში კი სულ 3 გოლი გაუშვა. 21 გატანილიდან კი 6 მერებაშვილის ანგარიშზეა, ბომბარდირთა დავაში მასზე წინ მხოლოდ „სევოინოს" ფორვარდი **ნემანია არსენიევიჩია** 7 გოლით.

როგორც იქნა, ბერძნულ სუპერლიგაში იმარჯვა **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისმა", რომელმაც შინ „ლარისას" 2:1 აჯობა. ქართველმა ცენტრალურმა მცველმა მოედანზე 90 წუთი გაატარა. „ერგოტელისს" 13 ქულა აქვს.

აღთქმული მიწიდან ორი ამბავი გვაქვს, კარგი და ცუდი. ორივეს ერთდროულად გეტყვით - **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელი" აშკელონში მასპინძლობდა **ვლადიმერ დვალიშვილის** „მაქაბის". თამაში სტუმრებმა 3:0 მოიგეს, 44-ე წუთზე ანგარიში ვლადომ გახსნა, ხოლო 75-ე წუთზე ზურაბი გააძევეს. ჩემპიონატში დვალიშვილს ოქტომბრის ბოლოს შემდეგ არ ჰქონდა გატანილი, ეს ქართველის მე-4 გოლია ჩემპიონატში. მენთეშაშვილი კი, მგონი, რეკორდზე მიდის - 11 თამაშში გაძევება და 7 ყვითელი ბარათი დაუგროვდა. „მაქაბი" 25 ქულით მეორეა, ხოლო აშკელონის „ჰაპოელი" 10 ქულით მე-13-ე.

უკრაინის ჩემპიონატში მე-19 ტურის მატჩები გაიმართა. **ვასილ გიგიაძე** შეეგუა, რომ „ტავრიას" მთავარი დამრტყმელი ძალა ველარ არის და შეცვლაზე შესვლებზეც ყაბულსაა. ქართველი ვეტერანის გუნდი შინ „ვორსკლას" 2:2 დაუზავდა, გიგიაძემ კი 66-ე წუთიდან ითამაშა. დარჩენილ დროში მას თავი არ გამოუჩენია, ხოლო „ვორსკლამ" ბოლო წუთზე ქულის მოპოვება შეძლო. **სანდრო გურული** ეროვნულ ნაკრებს კი გაუშინაურდა, მაგრამ კლუბში სკამზე დასვეს - „კარპატი"-„ზარიას" მატჩს, რომელიც სასტუმრო გუნდმა 4:2 მოიგო, ქართველმა სათადარიგოთა სკამიდან უყურა. აქვე ვიტყვით, რომ „შახტარის" დუბლში 77 წუთი ითამაშა **თორნიკე ოქრიაშვილმა** „არსენალის" დუბლთან მატჩში (3:3).

„ვოლინი"-„მეტალურგის" შეხვედრაში 55-ე წუთზე გამოჩნდა სტუმართა ფორვარდი **დიმიტრი ტატანაშვილი**. „დნიპროს" ქართველთაგან მხოლოდ **უჩა ლობჟანიძე** იყო მატჩის განაცხადში (სათადარიგო)...



ჯანო ანანიძე

რუსეთის მორიგი ჩემპიონატი წარსულს ჩაბარდა. ბოლო ტურში **კარპინმა** გარისკა და **ჯანო ანანიძე** მნიშვნელოვან დერბიში სასტარტოში დააყენა. „დინამომ" და „სპარტაკმა" ფრე ითამაშეს (ისევე, როგორც ტურის 8 მატჩიდან 6) - 1:1. ქართველი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს („ჩემპიონატის" შეფასება - 5,5 ბალი). ჯანოს 30-ე წუთზე შეეძლო გატანა, მაგრამ „დინამოს" მეკარემ ფეხით აული. საბოლოოდ „სპარტაკმა" 49 ქულა დააგროვა და ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა (მე-4 ადგილი). მოკლედ, ჯანო გაზაფხულიდანაც ევროპის ლიგაზე გადაერთვება და სამომავლო პერსპექტივაშიც ეს შეჯიბრება ელის. დერბის შემდეგ მილიციამ ორივე გუნდის 69 ხულიგანი ფანი დააკავა.

„ანჟი" ბოლო ტურში გადაურჩა დაქვეითებას, როცა ნალჩიკში „სპარტაკს" 3:1 მოუგო. მოკლედ, მთელი სეზონის ნაღვაწი წყალში ჩაეყარა „სპარტაკს", რომლის რიგებშიც ბოლო მატჩი ითამაშა **გოგიტა გოგუამ**. გოგიტასთვის შეხვედრა ძალიან ცუდად დასრულდა... ჯერ კიდევ 26-ე წუთზე მოედნის ცენტრში მიიღო ტრავმა და მას მერე თამაში ველარ შეძლო. აი, **დავით სირაძე** კი მატჩის განაცხადში არ ყოფილა. სტუმართა კარს **ნუკრი რევიშვილი** იცავდა (6 ბალი), **ოთარ ხიზანეიშვილი** კი სათადარიგო იყო. საბოლოოდ „ანჟი" 33 ქულით მე-11 ადგილზე გავიდა, „სპარტაკი" 44 ქულით - მე-6-ზე.

„ტერეკი"-„სიბირის" შეხვედრაში (1:1) შეუცვლელად ითამაშა **ლევან გვაზავამ**. გროზნოელები მე-12 ადგილს დასჯერდნენ. ასევე უსახური გამოდგა „ლოკომოტივისა" და „რუბინის" დაპირისპირება. ქართველი ლეგიონერები (**მალხაზ ასათიანი და ლაშა სალუქვაძე**) სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ. „რუბინი" მე-3 ადგილზე გავიდა, ხოლო „ლოკომოტივი" - მეხუთეზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ბერბამ ბურთი შინ წაიღო

დაიჭირა „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ბლექბერნი" და 7:1 მოუგო! რა უნდა ვილაპარაკოთ ამ თამაშზე? ასეთი თამაშის გარჩევა, საერთოდ, შეიძლება? ანდა შვიდი გოლის აღწერას აქვს რაიმე აზრი? ვფიქრობთ, არა, თუმცა შაბათ დღეს „ოლდ ტრეფორდზე" ანგარიშის გარდა თვალში საცემი კიდევ **დიმიტარ ბერბატოვის** გატანილი გოლების რაოდენობა იყო - 5! აი, რამდენი შეაგდო ბულგარელმა, რომელსაც თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე უწოდეს კაცი, რომელმაც მასში გადახდილი ფული ვერ გაამართლა. სტატისტიკიდან: რაც ინგლისის ჩემპიონატის პირველი ლიგა პრემიერლიგად გადაკეთდა და დამოუკიდებელი არსებობა დაიწყო ერთ შეხვედრაში ხუთი გოლი სამ კაცს, **ენდი კოლს, ალან შირერსა** და **ჟერმაინ დეფოს** ჰქონდა გატანილი.

ცნობისთვის: ბერბატოვს 16 ოქტომბრის შემდეგ „იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში ნათამაშები არ ჰქონდა. რაღ უნდა ლაპარაკი, რომ ბულგარელმა ფეხბურთელმა თამაშის მერე ბურთს ხელი დაავლო და შინ წაიღო.

*„უეინი რომ დაბრუნდა დიდებულია,* - თქვა ბერბატოვმა. - *მან იცის, როგორ ვთამაშობ მე, მე ვიცი როგორ თამაშობს ის და ერთმანეთს საუცხოოდ ვუგებთ. არც კი მჯერა, ხუთი გოლი რომ გავიტანე. ერთ თამაშში ხუთჯერ ადრეც გამიტანია, მაგრამ ეს ბულგარეთში, დიდი ხნის წინ მოხდა. პრემიერლიგაში ასეთი რამის გაკეთება ცოტა სხვაა და ენდი კოულისა და ალან შირერის კომპანიაში თავის ამოყოფაც უდიდესი პატივია".*

ბერბატოვისა და რუნის ერთობლივ მოქმედებებზე გაამახვილა ყურადღება „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმაც**, რომელმაც დასძინა, რომ მოწინააღმდეგის მეკარეს **პოლ რობინსონს** ერთ ეპიზოდში საუცხოოდ რომ არ ეთამაშა ბულგარელი მეექვსესაც შეაგდებდა.

ტიტულის მაძიებელთაგან გაიმარჯვა „არსენალმაც", რომელიც ბირმინგემის „ვილა პარკზე", მეორე ტაიმში მასპინძელთა გამძვინვარებას გადაურჩა. შესვენებამდე ისე ჩანდა, რომ „მეთოფეებმა" „ასტონ ვილას" კარში ორი გოლის გატანით საქმე მოამთავრეს, მაგრამ შეხვედრის მეორე ნახევარში **ჟერარ ულიეს** გუნდი, რომელსაც ათი საუკეთესო ფეხბურთელი დაშავებული ჰყავს, სრულიად გარდაისახა და ორი შეაგდო. მასპინძლების ორ გოლს შორის „არსენალმა" ერთიც შეაგდო - **მარუან შამახმა** მიმდინარე სეზონში თავისი მეშვიდე გოლი გაიტანა - ბოლოს კი, მსაჯის ნამატებულში, **ჯეკ უილშირმა** მეოთხეც დაამატა, მაგრამ „ვილას" გამგელება არ უნდა დავუკარგოთ.

*„ვფიქრობ, ბოლო წუთებში გარკვეული არასდროს არაფერია, განსაკუთრებით ბოლო ტურის შემდეგ. იმ ეპიზოდში შამახმა კარგი პასი ჩამაწოდა და მეც ძალიან ბედნიერი ვარ მიმდინარე სეზონში პირველი გოლი რომ გავიტანე",* - თქვა 18 წლის უილშირმა.

თავისი ბიჭების თამაშით ძალიან კმაყოფილი გახლდათ **არსენ ვენგერი**. მან თქვა:

*„ეს უქმეები ჩვენთვის კარგად დაიწყო. ჩვენი თამაში ტურში პირველი იყო და საშუალება მოგვეცა დანარჩენი გუნდებისთვის მშვიდად გვედევნებინა თვალი. ჩვენ კარგად ვითამაშეთ ისეთი ძლიერი გუნდის წინააღმდეგ როგორიც „ასტონ ვილაა".*

აი, „მანჩესტერ სიტის" კი ბედი არ სწყალობს: სტოკში **მიკა რიჩარდსის** მიერ 81-ე წუთზე გატანილი შესანიშნავი გოლით 1:0-ს იგებდა, მაგრამ... მსაჯის წამატებულ წუთებზე **მეტიუ ეთერინგტონმა** გაქვითა. როგორი გოლი შეაგდო რიჩარდსმა? იმ ეპიზოდში დარტყმაზე მთავარი ის იყო, თუ როგორ ჩამოიტოვა მანჩესტერელმა **დენი კოლინზი** - კარისკენ ზურგით მდგომმა ბურთი ფეხებს შორის გაატარა და უცბად შემოტრიალდა, რითაც წინ სივრცე გამოაჩინა. შემდეგ იგი ბურთს შეჰყვა და დაბლა, შორეულ კუთხეში დაარტყა. რაც შეეხება მასპინძლების გოლს, ეს უკვე ისტლენდელების დაცვის შეცდომის ბრალი იყო - **თუნჩაის** ქუსლურ პასს სტუმრები მოუმზადებლები შეხვდნენ...

*„არა უშავს, სეზონის დამთავრებამდე დიდი დროა,* - თქვა მატჩის შემდეგ „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ**. - *ყველა გუნდისთვის ყველა თამაში რთულია და ასე გაგრძელდება ბოლომდე. დღეს, შედარებით ცუდ მოედანზე კარგი გამოცდა მოგვიწყვეს. მეორე ტაიმში ჩემმა ბიჭებმა შესანიშნავი ფეხბურთი ითამაშეს. აშკარად ვიმსახურებდით გამარჯვებას და ამიტომ შედეგით ძალიან უკმაყოფილო ვარ".*

შაბათის თამაშებიდან ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ „სამკვდრო-სასიცოცხლოდ" წოდებული მატჩი ბოლო სამეულში ჩავარდნილებს, „ვესტ ჰემსა" და „უიგანს" შორის. ლონდონელებმა 3:1 მოიგეს. კლუბის ხელმძღვანელობამ ამ შეხვედრის დევიზად ასეთი რამ მოიფიქრა: „გადავარჩინოთ სეზონი"! ვფიქრობთ, ჯერ ძალიან ადრეა იმის თქმა გადაარჩინეს მთელი სეზონი **ავრამ გრანტმა** და მისმა შეგირდებმა თუ ვერა, მაგრამ მატჩის შემდეგ მასპინძელთა ებრაელი მწვრთნელი გახარებული რომ იყო ფაქტია:

*„ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ და რაც მთავარია დამაჯერებლად ვითამაშეთ. განსხვავება ამ და წინა შეხვედრებს შორის ის იყო, რომ დღეს გავიმარჯვეთ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, თორემ საკეთებელს წინა მატჩებშიც ვაკეთებდით".*

„ჩელსი" ნიუკასლში, პირველი ტაიმის მიწურულს, მსაჯის წამატებულ წუთებზე, **სალომონ კალუმ** გადაარჩინა - **ენდი ქეროლის** მიერ მე-6 წუთზე გატანილი გოლი გაქვითა. ასე გადარჩა ინგლისის ჩემპიონი ზედიზედ მესამე დამარცხებას ბოლო 11 წელიწადში პირველად.

ამ შეხვედრის შედეგად „ლურჯებმა" რომელთა მწვრთნელს, **კარლო ანჩელოტის** ინგლისურ პრესაში გავრცელებულ ხმათა თანახმად მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** ზაფხულზე **პეპ გვარდიოლათი** უპირებს შეცვლას, მეორე ადგილზე გადაინაცვლეს და... ბოლო ხუთ შეხვედრაში მხოლოდ 4 ქულა მოიპოვეს.

დაბოლოს, „ტოტენჰემმა" „ლივერპული" **აარონ ლენონის** მიერ მსაჯის წამატებულ წუთზე გატანილი გოლის წყალობით დაამარცხა, მაგრამ ალალი იყო. თავად განსაჯეთ, ჯერ იყო და, პირველ ტაიმში, ლონდონელებმა წამყვანი ფეხბურთელები დაკარგეს - **რაფაელ ვან დერ ვაარტი** დასაწყისშივე დაშავდა **იონ ქაბული** კი 36-ე წუთზე. გარდა ამისა, **ჟერმაინ დეფოს** პენალტით შეეძლო გოლის გატანა და ვერ მოახერხა.



### მომდევნო ტური

**4 დეკემბერი. არსენალი-ფულჰემი, ბირმინგემი-ტოტენჰემი, ბლექბერნი-ვულვზი, ჩელსი-ევერტონი, მანჩესტერ სიტი-ბოლტონი, უიგანი-სტოკი, ბლექპული-მანჩესტერ იუნაიტედი; 5 დეკემბერი. ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი, სანდერლენდი-ვესტ ჰემი; 6 დეკემბერი. ლივერპული-ასტონ ვილა.**

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XV ტური

„სელტიკს" არ უმართლებს – ისევ დაკარგა ქულები. **ნილ ლენონის** გუნდმა ამჯერად „ინვერნესთან" ითამაშა ფრედ, თან შინ. თუმცა, მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ.

შოტლანდიაში, მოგეხსენებათ, შინაურ მსაჯებს „შენდობა არ აქვთ" და ამიტომ, სქოთ არბიტრთა ერთმა ნაწილმა გაფიცვა გამოაცხადა. ჰოდა, არც იყო გასაკვირი „სელტიკ პარკზე" ყურადღების ცენტრში ლუქსემბურგელი არბიტრები რომ მოექცნენ. შეხვედრას ისინი გაუძღვნენ და რეპორტიორები ფოტოებსაც მათ უღებდნენ. უნდა ითქვას, რომ ტრიბუნებზე შეკრებილმა მაყურებელმა **ალან ჰამერი** და მისი ასისტენტები მატჩამდე დიდი სიხარულითა და ოვაციით მიიღო, თამაშის ბოლოს კი ობსტრუქცია მოაწყო, ოღონდ... მსაჯებს კი არა, საკუთარ გუნდს.

რაც შეეხება კვირის თამაშებს, უამინდობის გამო ორივე გადაიდო.

**სელტიკი-ინვერნესი 2:2**

გოლები: 1:0 კი (38), 2:0 მაკკორტი (65), 2:1 ფორენი (70), 2:2 მანრო (83)

**ჰემილტონი-სენტ მირენი 0:0**

**ჰიბერნიანი-სენტ ჯონსტონი 0:0**

**კილმარნოკი-აბერდინი 2:0**

გოლები: 1:0 სემონი (18), 2:0 ჰემილი (51)

**დანდი-რეინჯერსი გადაიდო**

**მოზერუელი-ჰართსი გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 14 | 12 | 1 | 1 | 34:15 | 37 |
| 2. სელტიკი | 15 | 11 | 2 | 2 | 35:12 | 35 |
| 3. ჰართსი | 14 | 8 | 2 | 4 | 22:13 | 26 |
| 4. ინვერნესი | 15 | 7 | 4 | 4 | 26:18 | 25 |
| 5. მიზერუელი | 14 | 7 | 2 | 5 | 22:16 | 23 |
| 6. კილმარნოკი | 15 | 6 | 2 | 7 | 24:18 | 20 |
| 7. დანდი | 14 | 5 | 4 | 5 | 15:20 | 19 |
| 8. ჰიბერნიანი | 15 | 4 | 3 | 8 | 17:25 | 15 |
| 9. სტ. ჯონსტონი | 15 | 4 | 3 | 8 | 10:22 | 15 |
| 10. სტ. მირენი | 15 | 3 | 4 | 8 | 14:26 | 13 |
| 11. აბერდინ | 15 | 3 | 1 | 11 | 15:31 | 10 |
| 12. ჰემილტონი | 15 | 2 | 4 | 9 | 11:29 | 10 |

**ბომბარდირები:** 18 - მილერი (რეინჯერსი); 11 – რუნი (ინვერნესი), სემონი (კილმარნოკი); ბლექმენი (მოზერუელი); 9 - ჰუპერი (სელტიკი); 7 – გუდვილი (დანდი); 6 – რიორდანი (ჰიბერნიანი); 5 – ჰიგდონი (სენტ მირენი), ნეისმითი (რეინჯერსი), სკაცელი (ჰართსი), სტოკსი (სელტიკი), ტემპლტონი (ჰართსი); 4 – ელიოტი (ჰართსი), ჰემილი (კილმარნოკი), ჰერტლი (აბერდინი).

### ასტონ ვილა-არსენალი 2:4

**ასტონ ვილა (4-5-1):** ფრიდელი - ლ. იანგი, დანი, კოლინზი, უორნოკი - დაუნინგი, ბენანი (86. ჰერდი), კლარკი, პირესი (45. დელფუნესო), ე. იანგი - კარეუ (66. აირლენდი).

ფარული კენჭისყრის შემდეგ ასეთი შედეგები დაფიქსირდა - 26 ხმა თბილისს, 21 - ბრნოს. წინასწარი მონაცემებით, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** 30 ხმას ვარაუდობდა. ჩვენი დელეგაციის წარმატება დიდად განაპირობა სწორად და, რაც მთავარია, აქტიურად წარმართულმა საარჩევნო კამპანიამ, აგრეთვე - ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების ჩართვამ. ასამბლეას არა მხოლოდ დედაქალაქის მერი **გიგი უგულავა** ესწრებოდა, არამედ ქვეყნის მთავრობის მაღალჩინოსნები. მათ ადრევე გასცეს ფესტივალის ღირსეულად ჩატარების გარანტიები სახელმწიფო დონეზე, თუმცა უშუალოდ ადგილზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება საპრეზენტაციო ფილმმა მოახდინა.

წილისყრა ფარულად ჩატარდა და ძნელია იმაზე ლაპარაკი, ვინ მოგვცა ხმა და ვინ - არა, მაგრამ რუსებმა კოჭი გაგვიგორეს და თბილისისადმი მხარდაჭერა წინა დღეებშივე დაადასტურეს. თუმცა ახლა მთავარი ისაა, რომ რამდენიმეთვიანი მოლოდინი დამთავრდა, ყველა ეჭვს ბოლო მოეღო და 2015 წელს ფესტივალს ჩვენ ვუმასპინძლებთ. არადა, სიმართლე გითხრათ, ბოლო წუთამდე ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ ევროპა მხარს დაგვიჭერდა, მაგრამ თუ მოვინდომებთ, თურმე ყველაფრის გაკეთება შეიძლება. ეს წარმატება ძნელი წარმოსადგენი იყო იმის მიუხედავად, რომ ბრნოსთან შედარებით, თითქოს უფრო მყარი არგუმენტები გვქონდა - ჩეხეთი გაისად ზამთრის ანალოგიურ ფესტივალს მასპინძლობს ლიბერეცში და ძნელი დასაჯერებელი იყო, დროის ასე მოკლე მონაკვეთში კიდევ მიეცათ მსგავსი ღონისძიება. ამასთან, ქართულმა მხარემ მონაწილეებს ბევრად შეღავათიანი პირობები შესთავაზა - უფასოდ ცხოვრება ფესტივალის განმავლობაში და ფასდაკლებები ბილეთებზე...

პოლიტიკური ფაქტორიც ძალზე მნიშვნელოვანია. ნაცვლიშვილმა ჩვენთან სატელეფონო საუბარშიც ბრძანა და რეალურადაც ასეა, რომ ეს ევროპის პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, რაც საქართველოს ახალ პერსპექტივებს უქადის. ნაცვლიშვილის მცირე ინტერვიუს ქვემოთ იხილავთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ სადღეისოდ ეს ღონისძიება თბილისს უფრო სჭირდებოდა, ვიდრე - ბრნოს. იქნებ იქ ჩასვლა უფრო მოსახერხებელია ევროპელებისთვის და იქნებ სპორტული ბაზების მხრივაც ბევრად უკეთესი მდგომარეობაა. ცხადია, ჩეხეთიც იმსახურებს პატივისცემას, როგორც დასავლური სამყაროს, დემოკრატიული საზოგადოების ღირსეული წევრი, როგორც **ვაცლავ ჰაველის** სამშობლო, მაგრამ საქართველოს შეუძლია, რაღაც ახალი, მისთვის უცხო შესთავაზოს ევროპას. ესაა დასავლური და აღმოსავლური კულტურის ნაზავი. ამასთან, მოხერხებული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ჩვენს ქვეყანას შეუძლია, იყოს სამშვიდობო ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ამ გლობალური საკითხების გარდა, ალბათ, უსამართლობა იქნებოდა, ევროპას კიდევ ერთხელ ეთქვა უარი დასავლური სამყაროსკენ ჩვენს სწრაფვაზე, ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის სურვილზე... საქართველო მერამდენე საუკუნეა, მიილტვის ევროპისკენ, მაგრამ მიზეზთა გამო, აქამდე ეს ვერ მოახერხა. ეტყობა, ევროპა თანდათან იცვლის პოზიციას, რაც საქართველოს ახალ შესაძლებლობებს აძლევს. მოვლენებს დავასწრებთ და ისევ ნაცვლიშვილს დავესესხებით, ამას აუცილებლად მოჰყვება ანალოგიური გარღვევები ცხოვრების სხვა სფეროებში, რაც ევროკავშირში თუ სხვა ევროსტრუქტურებში შესვლით დამთავრდებაო.

ფესტივალის პროგრამაში სპორტის 9 სახეობა იქნება: მძლეოსნობა, ცურვა, კალათბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ხელბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ძიუდო და საგზატკეცილო ველოსპორტი. ფესტივალის მასპინძლობა იმიტომაცაა კარგი, რომ ერთხელ და სამუდამოდ, ქვეყანაში სპორტული ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება და აშენდება თანამედროვე ყაიდის ბაზები, თორემ ამ მხრივ ჩვენში არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა.

დასასრულს შეპირებული ინტერვიუ სეოკ-ის პრეზიდენტ გია ნაცვლიშვილთან:

- ეს ძალიან დიდი გამარჯვებაა, თუმცა არა მხოლოდ სპორტული. ეს საწინდარია მომავალი წარმატებებისა. როცა შარშან ევროპის პირველობა ჩავატარეთ, მაშინაც ვამბობდი, ეს მომავალი დიდი მიღწევების წინაპირობა იქნება-მეთქი და იმავეს გავიმეორებ ახლაც. ეს ძალიან ბევრი რაღაცისკენ გაგვიხსნის გზას. უკვე არსებობს კონკრეტული გეგმებიც, მაგრამ ჯერ ამაზე არ მინდა ლაპარაკი. შეიძლება, ხვალ და ზეგ ამგვარ ღონისძიებაზე ვერ წამოვაყენოთ კანდიდატურა, მაგრამ ნებისმიერ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონატის დარი დიდი ტურნირის მასპინძლობა რომ მოვინდომოთ, კითხვის ნიშნები უკვე მოხსნილია. არ გაჩნდება კითხვა იმის თაობაზე, შევძლებთ თუ არა ორგანიზებას, უსაფრთხოების დაცვას, სატრანსპორტო საკითხის თუ სხვა პრობლემების მოგვარებას. ამაზე ლაპარაკი უკვე დამთავრდა სტატუსით, რაც ამ გადაწყვეტილებით ევროპამ მოგვანიჭა. აქედან გამომდინარე, ეს არაა მხოლოდ სპორტული გამარჯვება. დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში მსგავსი გარღვევა ცხოვრების სხვა სფეროებშიც მოხდება. მისასალმებელია, რომ ეს პირველად სპორტმა გააკეთა - რეალურადაც რომ შევაფასოთ ვითარება, ყველაზე დიდი საერთაშორისო წარმატება ამ სფეროში გვაქვს. ამდენად, ლოგიკურია, სპორტი რომ პირველი გახდა, მაგრამ ხვალ სხვა იქნება და ასე თანდათან შევალთ ჩვენთვის საინტერესო გაერთიანებებში - ევროკავშირში თუ სხვა ევროპულ სტრუქტურებში. ეს მხოლოდ დასაწყისია და ვულოცავ ყველას, მთელ საქართველოს. უპირველესად, იმ ვეტერანებს, რომლებმაც შექმნეს ამ წარმატების წინაპირობა და ქართული სპორტის ისტორია.

**- როგორი იყო პირველადი გამოხმაურება?**

- დადებითი, რადგან პირველი შემთხვევა იყო, როცა კანდიდატმა პირველივე ცდაზე მიაღწია საწადელს. იგივე ბრნო აქამდე ორჯერ დამარცხდა. თანაც ჩეხეთია, ევროკავშირის წევრი, ევროპის ცენტრი. ხუთხმიანი უპირატესობა ცოტა არაა. მეგობრების ემოციაც გასაგები იყო. დიდი როლი ითამაშა პრეზენტაციამაც. ამბობდნენ, ასეთი რამე დიდ ოლიმპიადებზეც არ გაუკეთებიათო. მათი შეფასებაა ისიც, რომ ეს იყო ახალი სიტყვა პრეზენტაციებში. შეიძლება ითქვას, ევროპას ახალი მიჯნა დავუწესეთ, რომლის ქვევითაც არ უნდა ჩამოვიდნენ.

**- დაახლოებით ამდენ ხმას კი ელოდებოდით, მაგრამ მაინც, ღალატიც ხომ არ ყოფილა შეპირებული დელეგაციებისგან?**

- დახურული წილისყრის პირობებში, ამის თქმა ძნელია. მოლაპარაკებებზე კი ალწევ შეთანხებას, მაგრამ ყველას თავისი ინტერესები აქვს - რეგიონული თუ სხვა. ესეც ერთგვარი პოლიტიკაა, სადაც ყველაფერი უნდა აწონო, ფრთხილად იმოქმედო და სწორად იარო. ბევრი ნიუანსი უნდა გათვალო, მოხარული ვარ, რომ ჩვენ ეს შევძელით.

**- რუსეთის დელეგაციამ წინა დღეს საჯაროდ გამოგვიცხადა ნდობა. მათთან პირადი საუბრები თუ გქონდათ, საინტერესოა, მართლა დაგვიჭირეს მხარი თუ ეს მხოლოდ ჟესტი იყო?**

- ძალიან კარგი, მხარი თუ დაგვიჭირეს. საიდან გავიგებდი, მათ რა არჩევანი გააკეთეს. დიდი მადლობა 26-ივე ქვეყანას, ვინც მხარი დაგვიჭირა...

**ირაკლი თავაძე**

## გილოცავთ!

**მოუთმენლად ველოდი ცნობას ბელგრადიდან და როცა ჩვენთვის ყველასთვის გასახარი ინფორმაცია გავრცელდა, მყისვე დავრეკე ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან მისალოცად. ბატონმა გია ნაცვლიშვილმა მადლობა კი მითხრა, მაგრამ იქვე დასძინა, თქვენც გილოცავთ, ეს პატივი უპირველესად თქვენი, საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონების დამსახურებააო. მე კი ვფიქრობ, რომ არა სეოკ-ის ხელმძღვანელების, ქვეყნის და თბილისის ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევა და პრინციპული სვლა დასახული მიზნისკენ, წარმატება თავისით არ მოვიდოდა.**

**ვულოცავ ყველას, ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობა ქვეყნის იმიჯს აამაღლებს მთელ მსოფლიოში და მომავალ თაობებს საბუთად გამოადგებათ, თუ როდესმე თვით ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა დადგება დღის წესრიგში.**

**უზომოდ გახარებული ვარ!**

**რობერტ შავლაყაძე**
ოლიმპიური ჩემპიონი (1960)
სიმაღლეზე ხტომაში

ძიუდო. ნაკრები.

# ხანჯალიაშვილის ნაცვლად მეტრეველი

გუშინ დილით საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები ტოკიოში გაფრინდა, სადაც, როგორც ადრეც ვწერდით, ჯერ ათდღიან შეკრებას გაივლის, მერე 10-12 დეკემბერს ძიგორო კანოს „დიდი მუზარადის" ტურნირშიც გამოვა. დასრულების შემდეგაც იქვე ერთობლივ ვარჯიშებზე დარჩებიან. ნაკრების თავკაცმა **სოსო ლიპარტელიანმა** ბოლო დღეებში შემადგენლობაში ერთი იძულებითი ცვლილება განახორციელა - მძიმეწონოსანმა **ზვიად ხანჯალიაშვილმა** მხარი იტკინა და მის ნაცვლად **ნოდარ მეტრეველი** წაიყვანა. სხვა წონების შემადგენლობა უცვლელია: **ბეთქილ შუკვანი** (60), **შალვა ქარდავა** (66), **თენგიზ პაპოშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90).

ტრავმის გამო ხანჯალიაშვილმა ვერც ნაკრების კონსულტანტ **პეტერ ზაიზენბახერის** სამედიცინო შემოწმება გაიარა. ამის მიუხედავად, სპორტსმენს მაინც უნდოდა ტოკიოში წასვლა, მაგრამ ექიმებთან კონსულტაციების შემდეგ ლიპარტელიანმა ნება არ დართო. ისედაც, სამედიცინო შემოწმებისას ზაიზენბახერმა რამდენიმეზე განაცხადა, რომ ისინი ვერ გაუძლებდნენ იქაურ დატვირთვებს. ეტყობა, მეტრეველის წაყვანაც ფიზიკურმა კონდიციებმა განაპირობა - მან საუკეთესო შედეგები აჩვენა და ზაიზენბახერიც კი გააოცა თავისი ავსტრიელი ექიმებით. აქვე გეტყვით, რომ გუნდს ტოკიოში ზაიზენბახერიც გაჰყვა და ტურნირზეც დააკვირდება ჩვენს ფალავნებს.

იაპონური შემადგენლობა ლიპარტელიანმაც იქაური ვარჯიშების სირთულისა და შეგირდთა მომზადებიდან გამომდინარე აარჩია. ძირითადად გამოცდილ კადრებს დაეყრდნო - ვინ გაუძლებდა იმ უძლიერესი ტურნირის თუ ერთობლივი ვარჯიშების სიმძიმეს, მაგრამ ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომავალ სეზონშიც ლიდერებად მათ განიხილავს. თუმცა ამაზე ერთნიშნად ჯერ არაფრის თქმა შეიძლება.

**ირაკლი თავაძე**

სუმოს სამყარო

# გაგამარუს მიღწევა: ბოლო 9-დან 8 მოგება

## დიდი თასი დიდ მონღოლს

გუშინ წლის უკანასკნელი ბაშო დასრულდა. როგორც მოსალოდნელი იყო, იმპერატორის თასი, რომელიც 20 კილოგრამზე მეტს იწონის, დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** ჩაიბარა. ეს დიდი მონღოლის მე-17 თასია კარიერაში. ქართული სამეულიდან ორს ხელი მოეცარა, ხოლო **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** საოცრად ჩაატარა ბაშოს გადამწყვეტი ეტაპი და რეიტინგში წინსვლა დაიბევა.

ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტ **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** ყველაფერი ჯერ წინ აქვს პროფესიულ სუმოში. გაისად ის კვლავ შეეცდება ფუკუოკაში დაკარგული კომუსუბის ტიტულის დაბრუნებას და, ალბათ, შეძლებს კიდეც. ამ ტურნირზე კი ტოჩინოშინი ცუდმა სტარტმა დაღუპა, შემდეგ კი გამოფხიზლდა, მაგრამ ქართველ კომუსუბის 6 გამარჯვებაზე მეტი მაინც ვერ დაუგროვდა. შაბათს მან **იოშიკაძესთან** წააგო, კვირას მონღოლ **ჰაკუბას** აჯობა. ჩვენებური რიგით მაეგაშირათა რიგებს დაუბრუნდება.

ქართველთაგან ყველაზე ცუდად ჩვენმა ვეტერანმა **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** იასპარეზა. „შავმა ზღვამ" ამ უქმეებზეც წააგო, ჯერ მონღოლ **ასასეკირიუსთან**, შემდეგ კი ჩინელ **სოკოკურაისთან**. ლევანს ჯამში მხოლოდ 4 მოგება დაუგროვდა და მე-6 მაეგაშირა ისევ ელიტის არიერგარდში გადაინაცვლებს.

გაგამარუ კი მხოლოდ ქების ღირსია - ბოლო 9 ორთაბრძოლიდან 2-ცენტნერიანმა ქართველმა 8 მოიგო! მთელი ტურნირი, რომ ასე ესპარეზა იმპერატორის თასისთვისაც კი იბრძოლებდა. ყველაზე გადამწყვეტი ორთაბრძოლა გაგამარუს შაბათს ჰქონდა, როცა **კოტოკასუგას** ორივე ხელი „ჩაუკეტა" და ისე გაიყვანა დოჰიოდან. ეს იყო მე-8 გამარჯვება. გუშინ მერვეს მეცხრე მოჰყვა - გაგამარუმ ოშიდაშით **შოტენროს** აჯობა. მე-10 მაეგაშირა ქართველი შესამჩნევად წაიწევს წინ რეიტინგში.

იმპერატორის თასის მფლობელის გამოსავლენად პლეი-ოფი გახდა საჭირო, რადგან 14-14 მოგება იოკოძუნა ჰაკუჰომ და მე-9 მაეგაშირა **ტოიონოშიმამ** დააგროვეს. უკვე კარგა ხანია, რაც რიგით მაეგაშირას ბაშო არ მოუგია, არც ამჯერად მოხდა ასე - გადამწყვეტ ბრძოლაში ჰაკუჰომ მეტოქეს ჯერ ზურგი აქცევინა, შემდეგ კი ეფექტური ილეთით დააგდო. ბაშოზე 300-ზე მეტი ორთაბრძოლა გაიმართა ელიტაში და ოკურინაგეს ილეთი მხოლოდ ერთხელ და ისიც საჩემპიონო ბრძოლაში შესრულდა. სხვათა შორის, ძურიოს (მეორე) დივიზიონი ბრაზილიელმა სუმოისტმა **კაისეიმ** მოიგო.

ახალი რეიტინგ-ლისტი (ბანძუკე) 21 დეკემბერს გამოცხადდება, წლის პირველ ბაშოს კი უკვე ტოკიოს „კოკუგიკანი" 9-23 იანვარს უმასპინძლებს.

კიუშუს ბაშო. 14-28 ნოემბერი.
ფუკუოკა (იაპონია)

### XIV დღე

(სულ 11 ილეთი)

**ოშიდაში (6):** კაკურიუ-ჰაკუბა, ჰომაშო-არანი, ამინიშიკი-ვაკანოსატო, კასუგაო-კიმურაიამა, კორიუ-შიმოტორი, შოტენრო-ტაკამისაკარი.

**უვატენაგე (3):** კიოკუტენჰო-კოტოშოგიკუ, ასასეკირიუ-**კოკაი**, ტოსაიუტაკა-ოკინოუმი.

**იორიტაოში (2):** კისენოსატო-ტამავაში, ტოიოჰიბიკი-ბუშუიამა.

**კიმედაში (2):** კიტატაიკი-ტოკიტენკუ, **გაგამარუ**-კოტოკასუგა.

**სუკუინაგე (2):** ტოკუსეგავა-კოტოოოშუ, გოეიდო-მოკონამი.

**იორიკირი (1):** ჰაკუჰო-ბარუტო.

**კატასუკაში (1):** ტოიონოშიმა-კაიო.

**ოშიტაოში (1):** ტოჩიოძანი-ტაკეკაძე.

**ჰიკიოტოში (1):** იოშიკაძე-**ტოჩინოშინი**.

**ჰატაკიკომი (1):** ტოჩინონადა-სოკოკურაი.

**ცუკიოტოში (1):** მიაბიამა-ტოიოძაკურა.

### ბოლო დღე

(სულ 14 ილეთი)

**იორიკირი (4):** **ტოჩინოშინი**-ჰაკუბა, კიტატაიკი-ვაკანოსატო, სოკოკურაი-**კოკაი**, კიოკუტენჰო-ტოკუსეგავა.

**ჰიკიოტოში (3):** ტოჩიოძანი-კაკურიუ, ტაკეკაძე-არანი, ამინიშიკი-ჰომაშო.

**ოშიდაში (3):** კოტოშოგიკუ-ტამავაში, კიმურაიამა-ტოკიტენკუ, **გაგამარუ**-შოტენრო.

**უვატენაგე (1):** ჰაკუჰო-კოტოოოშუ.

**ტოტარი (1):** კაიო-ბარუტო.

**ოშიტაოში (1):** ტოიონოშიმა-კისენოსატო.

**კირიკაეში (1):** იოშიკაძე-ასასეკირიუ.

**სუკუინაგე (1):** კოტოკასუგა-კორიუ.

**ჰატაკიკომი (1):** მიაბიამა-შიმოტორი.

**სოტოგაკე (1):** გოეიდო-ტოსაიუტაკა.

**იორიტაოში (1):** ტაკამისაკარი-მოკონამი.

**კოტენაგე (1):** კასუგაო-ბუშუიამა.

**ცუკიოტოში (1):** ტოიოძაკურა-ტოჩინონადა.

**შიტატენაგე (1):** ოკინოუმი-ტოიოჰიბიკი.

### საჩემპიონო პლეი-ოფი

ჰაკუჰო-ტოიონოშიმა (ოკურინაგე).

### საბოლოო მდგომარეობა

**14-1: ჰაკუჰო** (იოკოძუნა), **ტოიონოშიმა** (მაეგაშირა 9). **12-3: კაიო** (ოძეკი), **გოეიდო** (მ 14). **11-4: ბარუტო** (ოძეკი). **10-5: კისენოსატო** (მ 1). **9-6: კოტოშოგიკუ** (მ 1), **ტამავაში** (მ 8), **კიოკუტენჰო** (მ 9), **გაგამარუ** (მ 10), **ტოსაიუტაკა** (მ 10), **მიაბიამა** (მ 14), **შოტენრო** (მ 16). **8-7: კოტოოოშუ** (ოძეკი), **ამინიშიკი** (მ 2), **იოშიკაძე** (მ 5), **ტოკუსეგავა** (მ 6), **ტოკიტენკუ** (მ 11), **ტაკამისაკარი** (მ 12), **კორიუ** (მ 15), **ოკინოუმი** (მ 16). **7-8: ტოჩიოძანი** (სეკივაკე), **კაკურიუ** (სეკივაკე), **ჰომაშო** (მ 3), **მოკონამი** (მ 11). **6-9: ტოჩინოშინი** (კომუსუბი), **ასასეკირიუ** (მ 2), **ტაკეკაძე** (მ 4), **შიმოტორი** (მ 8), **სოკოკურაი** (მ 13), **ტოჩინონადა** (მ 13). **5-10: კიტატაიკი** (მ 3), **ვაკანოსატო** (მ 5), **კოტოკასუგა** (მ 7), **კიმურაიამა** (მ 7), **კასუგაო** (მ 15). **4-11: არანი** (კომუსუბი), **ჰაკუბა** (მ 4), **კოკაი** (მ 6). **3-12: ბუშუიამა** (მ 12). **0-15: ჰარუმაფუჯი** (ოძეკი), **ჰოკუტორიკი** (მ 17).

იმპერატორის თასი: ჰაკუჰო (მე-17)
ბრწყინვალე ასპარეზობა: კისენოსატო (მე-3)
მებრძოლი სული: ტოიონოშიმა (მე-3)
ტექნიკური რიკიში: ტოიონოშიმა (მე-3)
ძურიოს ჩემპიონი: კაისეი (პირველი)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ქართული სპორტი

### კალათბურთი. სუპერლიგა. V ტური

# უძლეველი შსს

ორი წლის წინათ სუპერლიგის ყოველი ტურის მიმოხილვაში საუკეთესო კალათბურთელის დასახელების პარალელურად ტურის მოვლენას ვარჩევდით, თუმცა მაშინ ასარჩევად საქმე ნამდვილად არ გვქონდა, საინტერესო ფაქტების სიუხვით განებივრებულები ნამდვილად არ ვიყავით. ამიტომ ტურის მოვლენაზე წერა შუა სეზონში შევწყვიტეთ. სუპერლიგის წლევანდელ გათამაშებაში ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა: თითოეული ტური საფერავის მტევანივითაა დახუნძლული სიახლეებით. არც მეხუთე ტური გამოდგა გამონაკლისი...

შაბათს მეოცე ჩემპიონატს პირველი ოვერტაიმი დაფიქსირდა, „ქუთაისმა" შსსთან ძირითადი დრო 77:77 ითამაშა. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, დეკემბერში კიდევ ვიხილავთ ოვერტაიმიან მატჩებს, რადგან ბევრი გუნდი თანაბარი ძალისაა. მეხუთე ტურამდეც არაერთი გუნდი გადაურჩა დამატებით დროს...

შაბათს საქართველოს ჩემპიონატის ერთი დაბიუტანტი ჰყავდა - თემურ ბაბუნაშვილი, რომელმაც ფეხის ტრავმა მოიშუშა და „ქუთაისის" მაისურით სუპერლიგაში პირველი მატჩი ჩაატარა. ვისაც ეს გვარ-სახელი არ გეცნოთ, შეგახსენებთ, რომ ოთხი წლის წინათ, სწორედ ბაბუნაშვილმა გაიყვანა რუსეთის ნაკრები კადეტთა ევროპის ჩემპიონატის ფინალში, სადაც რიკი რუბიოს ესპანეთთან დამარცხდა.

ტურის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის, თსუ-ს საშინაო მარცხი გამოდგა - „ენერჯიმ" 90:74 მოუგო.

მორიგი რეკორდი მეხუთე ტურმაც შემოგვთავაზა: სოხუმელ-ამერიკელმა რიჩარდ დამუსმა „დინამოსთან" მატჩში 19 მოხსნა მოაგროვა და დავით იმნაძის რეკორდი ორით გააუმჯობესა.

ტურის საუკეთესო კალათბურთელის გამორჩევა, როგორც არასდროს, ამ ჩემპიონატში გვიჭირს - თანაბარ თამაშებში არაერთი ღირსეული კანდიდატია. ასევე იყო, მეხუთე ტურშიც. საბოლოოდ ტურის MVP ლიდერი თსუ-ს მძლეველი „ენერჯიდან" შევარჩიეთ. მართალია, კამერუნელმა სამუელ ლამუმ 23 ქულა ჩააგდო, 11 მოხსნა მოაგროვა, მაგრამ მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით საუკეთესო ბექა წივწივაძე იყო: 22 ქულა, 8 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა.

## 19

27 ნოემბერი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| დინამო | 70 |
| სოხუმი | 91 |

16:20, 16:28, 17:23, 21:20

დინამო: ეძგვერაძე (2ქ, 5ჩ, 5ფ), პატარაია (11ქ, 3პ), თვაური (8ქ), გლუნჩაძე (5ქ), ალხანაიძე (5ქ, 11მ), თავამაიშვილი (6ქ, 6მ, 3პ, 2დ), ჩაველაშვილი (5ქ, 3პ), გულდედავა (10ქ, 5მ), კუჭავა (11ქ), წიკლაური (7ქ), ცაგარეიშვილი, შალიკიანი.
სოხუმი: ჩლაიძე (3ქ), შანიძე (14ქ, 4ჩ), სორდია (16ქ, 6მ, 8პ), კანკია (4ქ, 6პ, 3ჩ), კოპალიანი (11ქ), მაქქერი (17ქ, 5ჩ), კ. დამუსი (4ქ), რ. დამუსი (19ქ, 19მ, 3ჩ, 2დ), კორძაძე, კვარაცხელია, ძიძიშვილი, თვარაძე.
მსაჯები: დ. არეშიძე, ხ. გაბედავა.
კომისარი: რ. ხომერიკი.

„სოხუმმა" „დინამოს" წინააღმდეგ შესუსტებული შემადგენლობით ითამაშა - **ლაშა ფარლალავა** და **გიგა კვეტენაძე** გუნდს დეკემბრის შუამდე ვერ დაეხმარება — ორივეს მუხლი სერიოზულად აწუხებს.

დანაკლისის მიუხედავად სამი ამერიკელით გაძლიერებულმა „სოხუმმა" დამაჯერებლად მოუგო დინამოელებს. რიჩარდ დამუსზე ზემოთ ვთქვი, **მაიკ მაქქერიმ** კი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ საუკეთესო თამაში უჩვენა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მისი დამატება სწორი ნაბიჯი იყო.

## 77:77...

27 ნოემბერი. სპორტის სასახლე

| | | |
|---|---|---|
| შსს | 77 | 90 |
| | | დ.დ |
| ქუთაისი | 77 | 86 |

20:18, 20:22, 14:19, 23:18, 13:9

შსს: დ. ბერიშვილი (7ქ, 3პ), ლაფანაშვილი (13ქ), ლეჟავა (19ქ, 3ჩ), ი. ბერიშვილი (8ქ, 3პ), კოტონი (14ქ, 8მ), მარკოიშვილი (3ქ, 6მ, 4პ), ბარბაქაძე (8ქ, 9მ), იმნაძე (11ქ, 17მ, 3დ), შერმადინი (2ქ), ტომარაძე (5ქ, 3ჩ).
ქუთაისი: კვერნაძე, ბაბუნაშვილი (2ქ), დიდია (7ქ, 7პ, 6მ), ბ. ბერიშვილი (21ქ, 7მ, 5პ, 5ჩ), კვიმსაძე (14ქ, 3პ), ტუკვაძე, ბოლქვაძე (4ქ), ლომინაშვილი (4ქ, 7მ), გ. ბარბაქაძე (16ქ, 9მ), კოლუაშვილი (16ქ, 5მ), ქორიძე (2ქ).
მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე.
კომისარი: მ. რატიშვილი.

სწორედ მაშინ, როცა საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ამერიკელებს შეერკინა, სპორტის სასახლეში „ქუთაისი" შსს-ს „დაეჭიდა". ქუთათურებმა შაბათსაც დაგვანახეს, რომ მეორე ტურში „არმიის" ძლევა შემთხვევითი მოვლენა არ იყო. ისინი ძირითადი დროის დასრულებამდე 3 წუთით ადრე 9 ქულით იგებდნენ, თუმცა **ტროი კოტონისა** და **სოსო შერმადინის** სიზუსტის წყალობით „ძალოვნებმა" ჩამორჩენა 1 წუთში 2 ქულამდე შეამცირეს. ამის შემდეგ **ვიქტორ კოლუაშვილმა, ბუბა ბერიშვილმა** და **გიგი ბარბაქაძემ** შეტევა-საჯარიმოები შედეგიანად დააგვირგვინეს და საფინალო სირენამდე წუთ-ნახევრით ადრე „ქუთაისი" 76:70 დააწინაურეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები არ დანებდნენ - გუნდის გაძლოლა **ბესიკ ლეჟავამ** ითავა, რომელიც ინდივიდუალური გარღვევებით ცდილობდა იმერელთა კალათის დალაშქვრას და მიზანსაც აღწევდა. ლეჟავას მხარი **ლექსო ლაფანაშვილმაც** აუბა, რომელმაც მეტად საჭირო სამქულიანით შსს-ს ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა - 75:76. თამაშის დასრულებამდე წუთზე ნაკლები რჩებოდა, როცა ქუთაისელებმა შეუტიეს, ბუბა ბერიშვილმა სამიანი ააცილა, თუმცა ბურთი კოლუაშვილმა მოხსნა, მაგრამ ვერც ბარბაქაძის შორეულმა სროლამ მიაღწია მიზანს. შსს გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა, მაგრამ იგივე დაემართა, რაც წინა ეპიზოდში „ქუთაისს". ლეჟავამ და ლაფანაშვილმა სამქულიანები გააცუდეს. ძირითადი დროის დასრულებამდე 18 წამით ადრე ბურთი „ქუთაისის" გამთამაშებელმა ბერიშვილმა მოიპოვა და შეტევაში გაჭრილ ბაბუნაშვილს გადააწოდა, რომელიც ლეჟავამ განზრახ შეაჩერა და მსაჯისგან არასპორტული ჯარიმა დაიმსახურა. სირენამდე 16 წამით ადრე ქუთაისელები მინიმალური სხვაობით იგებდნენ, 2 საჯარიმოს ესროდნენ და ბურთიც გვერდიდან შემოჰქონდათ. ასეთი ხელსაყრელი სიტუაცია ქუთათურებმა ვერ გამოიყენეს. ბაბუნაშვილმა 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, გვერდიდან შემოტანილი ბურთი კი იმერლებს ისევ პირით ხაზს მიღმა გაექცათ და 2 ქულით ჩამორჩენილ შსს-ს შესატევად 15 წამი დარჩა. სტუმართა ფარისკენ კვლავ ლეჟავა დაიძრა და სირენამდე 7 წამი რჩებოდა, ჯარიმების ტყორცნის უფლება რომ მოიპოვა. ლეჟავამ ორივე საჯარიმო ჩააგდო და - 77:77. დარჩენილ დროში სტუმრებმა შეტევის ორგანიზება მოახერხეს, მაგრამ ბარბაქაძის სროლისას საფინალო სირენა და ჯარიმის მაუწყებელი სასტვენი თითქმის ერთდროულად გაისმა. როგორც მსაჯებმა გაარკვიეს, ჯარიმამდე დრო ამოწურული იყო, რამაც სტუმრები აღაშფოთა, თუმცა თამაში ოვერტაიმში გაგრძელდა.

დამატებით ხუთ წუთში უფრო ზუსტი შსს-ელები აღმოჩნდნენ და ჩემპიონატში მეოთხე მატჩიც (წინა ტურში დაისვენეს) მოიგეს.

## -16

27 ნოემბერი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| თსუ | 74 |
| ენერჯი | 90 |

15:23, 19:21, 17:32, 23:14

თსუ: ხიზანიშვილი, ფანჩულიძე (14ქ, 4ჩ), გაფრინდაშვილი (6ქ, 5მ), მარხვაშვილი (12ქ, 4პ), ლონდარიძე (8ქ, 10მ, 4პ), კორკოტაძე (2ქ), ჩიტაშვილი, მათიაშვილი (24ქ, 12მ), ყველაშვილი (8ქ, 8მ).
ენერჯი: მაჭავარიანი (11ქ, 3პ), გ. ბერუაშვილი, ცეკვავა (18ქ, 3ჩ), წივწივაძე (22ქ, 8მ, 4პ, 3ჩ), აბაიშვილი (2ქ, 6პ), გუგავა (2ქ), ტუჯანი (12ქ, 4პ), ლამუ (23ქ, 10მ, 4დ).
მსაჯები: გ. მიქელაძე, დ. სადღობელაშვილი
კომისარი: რ. გელოვანი.

შაბათამდე ოთხი გამარჯვებით სატურნირო ცხრილს თსუ ლიდერობდა, რომელიც „სამედიცინოსგან" ძლეულ „ენერჯის" (მეოთხე ტურში) მასპინძლობდა. ფავორიტად სტუდენტები ითვლებოდნენ, თუმცა, ალბათ, მათთვისაც მოულოდნელად რუსთაველებმა მეტად დამაჯერებლად ითამაშეს. მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ელებმა სტუმრებს მოხსნებში 50:33 აჯობეს, საბოლოო გამარჯვება მაინც „ენერჯის" დარჩა.

პირველი მეოთხედი მეტ-ნაკლებად თანაბარი გამოვიდა, თუმცა რუსთაველები უფრო ხშირად ლიდერობდნენ. მეორე პერიოდის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ანგარიში გათანაბრდა - 34:34. ამ მომენტიდან მოედანზე ვითარება რადიკალურად შეიცვალა. რუსთაველებმა 10:0 გაქცევა მოაწყვეს და დიდ შესვენებაზე ანგარიშით 44:34 გავიდნენ.

მეორე ტაიმიდან რუსთაველებმა უფრო მძლავრად შეუტიეს. მესამე მეოთხედის შუა ხუთწუთეული ბექა წივწივაძისა და კამერუნელი სამუელ ლამუს ბენეფისი გამოდგა. ორივე კალათბურთელმა დროის ამ მონაკვეთში ჯამში 18 ქულა მოაგროვა და „ენერჯი" 66:40 დააწინაურა. მიუხედავად იმისა, რომ თსუ წაგებას არ ეგუებოდა და პრესინგით ცდილობდა თავის გადარჩენას, ყველაფერი მაინც რუსთაველთა სასარგებლოდ გადაწყდა.

## 31

27 ნოემბერი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| აგრარული | 68 |
| არმია | 112 |

13:30, 28:17, 10:33, 17:32

აგრარული: ტეტელაშვილი (5ქ, 10პ, 3ჩ), ნანიტაშვილი, ჩაჩანიძე (23ქ, 3ჩ), ხანიაშვილი (14ქ, 3პ), ჯავახიშვილი (16ქ, 5მ, 5ფ), მუმლაძე (8ქ, 10მ), გემაზაშვილი (2ქ), ბააკაშვილი, კანდელაკი.
არმია: ბაქრაძე (3ქ, 4პ), ბაბიაშვილი (19ქ, 10მ, 3ჩ), ბოისა (10ქ, 5მ, 3პ, 3ჩ), მ. ბერიშვილი (5ქ, 5მ), ტულუში (31ქ, 11მ, 5პ), პირველაშვილი (5ქ, 10მ), მოსეშვილი, უგრეხელიძე (18ქ, 12მ, 4დ), ათანელიშვილი (3ქ, 5მ), ათუაშვილი (1ქ, 5მ), საყვარელიძე (17ქ, 7პ, 5მ, 5ფ).
მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე.
კომისარი: თ. ქიქოძე.



სიჩქარეს კრეფს **ლევან მოსეშვილის** „არმია", რომელმაც „აგრარული" 44 ქულის სხვაობით დაამარცხა. გამარჯვებულთა შორის საუკეთესო **კოტე ტულუში** იყო, რომელმაც 31 ქულა ჩააგდო, რაც სეზონის მესამე მაჩვენებელია: ფარლალავას 33 ქულა აქვს ჩაგდებული, **ფანჩულიძეს** - 32, ტულუშს - 31.

არმიელებს მომავალ უქმეებზე მეტად საპასუხისმგებლო მატჩი ელით, ტურის ცენტრალურ შეხვედრაში თსუ-ს უმასპინძლებენ.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თსუ | 5 | 4 | 1 | 454/407 | 9 |
| 2. შსს | 4 | 4 | 0 | 374/294 | 8 |
| 3. ენერჯი | 5 | 3 | 2 | 387/379 | 8 |
| 4. სოხუმი | 5 | 3 | 2 | 410/402 | 8 |
| 5. არმია | 4 | 3 | 1 | 387/301 | 7 |
| 6. აგრარული | 5 | 2 | 3 | 358/406 | 7 |
| 7. ქუთაისი | 4 | 2 | 2 | 327/320 | 6 |
| 8. ბათუმი | 4 | 2 | 2 | 314/313 | 6 |
| 9. დინამო | 5 | 1 | 4 | 335/449 | 6 |
| 10. სამედიცინო | 4 | 1 | 3 | 274/290 | 5 |
| 11. სტუ | 5 | 0 | 5 | 410/469 | 5 |

ვაჟა სიმონიშვილი

### ქართველი NBA-ში

# ზაზა მეტ დროს იმსახურებს

გუშინ და გუშინწინ **ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ" ორი გასვლითი შეხვედრა ჩაატარა და ორივე დამაჯერებლად მოიგო. ჯორჯიელებმა ჯერ ნიუ იორკში შეიარეს და „ნიქსს" 99:90 სძლიეს, შემდეგ კანადაში ჩავიდნენ და „ტორონტოს" 96:78 მოუგეს.

ორივე მატჩი თითქმის თანაბარი სცენარით წარიმართა, ზაზას თანაგუნდელებმა ნიუ იორკშიც და ტორონტოშიც მესამე პერიოდში ისეთი უპირატესობა მოიპოვეს, რომ მასპინძლებს მეოთხე თორმეტწუთეულში თამაშის შემოტრიალების შანსი არ დაუტოვეს. თუმცა, „ნიქსმა" მესამე პერიოდის დასაწყისში 20-ქულიანი ჩამორჩენა ამავე მეოთხედის ბოლოს 5 ქულამდე შეამცირა, მაგრამ სწორედ ამის შემდეგ ამოქმედდა ცივსისხლიანი **ჯამალ კროუფორდი,** სამიანს სამიანი მიაყოლა და თანაგუნდელთა უპირატესობა 10 ქულამდე აიყვანა. საბოლოო ანგარიში ზემოთ დავწერეთ - 99:90.

„ატლანტას" მწვრთნელი **ლარი დრიუ** წინამორბედი **მაიკ ვუდსონის** მსგავსად 6 კალათბურთელს ეყრდნობა, დანარჩენებს წამყვანი მოთამაშეების დასასვენებლად იყენებს. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ ჯორჯიელები უმთავრესად ფარიდან მოშორებით ცდილობენ ხეირის ნახვას. ისინი ძირითადად სამქულიანებისა და საშუალო დისტანციიდან ტყორცნების იმედად არიან. ასეთი ტაქტიკა და კალათბურთელებისადმი მსგავსი მიდგომა ვუდსონს ძვირად დაუჯდა - ფარქვეშ დამაჯერებლად მოთამაშე „ორლანდოსთან" პლეი ოფში პირწმინდად დამარცხდა და მთავარი მწვრთელის პოსტის დატოვებმაც მოუწია. გუშინ და გუშინწინ „ატლანტა ჰოქსმა" „ნიუ იორკიცა" და „ტორონტოც" უმთავრესად პერიმეტრიდან და საშუალო დისტანციიდან ტყორცნებით დაჯაბნა, თუმცა სხვა, უფრო ძლიერ მეტოქეებთან ფარქვეშ თამაშის გაუუმჯობესებლად წარმატების მიღწევა გაუჭირდება. მწვრთნელს კი ნამდვილად მართებს ცენტრების მეტად დატვირთვა... ფაჩულიას ლარი დრიუმ შაბათ-კვირას 10-10 წუთი არგუნა, რაც ნამდვილად ცოტაა, რადგან ქართველი ცენტრი გუნდს საკმარისად ეხმარება და ფარქვეშეთსაც კარგად ამაგრებს. აკი ამბობს „ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტი **მაიკლ კანინგემი**: *„ლარი დრიუს წინა ხაზში პრობლემები აქვს. ახალბედა მწვრთნელი ზედმეტად ენდობა პაუელს, რომელსაც სათამაშო დროს ზაზა ფაჩულიას ხარჯზე აძლევს, რაც აბსურდია..."*

იმედი დავიტოვოთ, რომ ქართველი ცენტრი მალე მიიღებს იმდენ სათამაშო დროს, რამდენსაც იმსახურებს.

„ატლანტა" მომდევნო მატჩს შინ „მემფისთან" 1 დეკემბერს ჩაატარებს.

**ნიუ იორკი-ატლანტა 90:99**

ზაზა ფაჩულია: 09:58 წუთი, 2 ქულა (5-დან 1 ორქულიანი), 3 მოხსნა, 1 ფოლი.

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 00:37 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:59 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 10:24 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:17 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:15 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 09:14 | ორქულიანი: 2ქ (38:25) |
| 08:40 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 08:30 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:50 | სმიტმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 02:49 | ზაზამ უილიამსი შეცვალა |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:21 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:39 | ფოლი: 1 |
| 10:39 | სმიტმა ზაზა შეცვალა |

**ტორონტო-ატლანტა 78:96**

ზაზა ფაჩულია: 10:24 წუთი, 1 ქულა (2-დან 1 საჯარიმო), 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ფოლი.

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 02:50 | ზაზამ ჯონსონი შეცვალა |
| 01:27 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 00:36 | საჯარიმოები: 2/1 (1ქ 25:23) |
| 00:00 | ფოლი: 1 |
| 00:00 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:33 | პასი: 1 (კროუფორდი: 3ქ, 30:23) |
| 08:11 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 03:45 | ზაზამ ბიბი შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი



### ლეგიონერები

**იტალიის ჩემპიონატი**

**კასერტა-კანტუ 73:65**

მანუჩარ მარკოიშვილი: 18 წუთი, 11 ქულა, 1 მოხსნა.

**ვარეზე-ვირტუსი 91:81**

ვიქტორ სანიკიძეს არ უთამაშია

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**სარაგოსა-ესტუდიანტესი 84:70**

ტაირონ ელისი: 34 წუთი, 6ქ, 1მ, 2პ.

**ლაგუნ არო-ვალენსია 75:82**

ცქიტიშვილი: 10 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა.

**გრან კანარია-რეალი 70:59**

ტორინ გრინი: 30 წუთი, 15 ქულა, 5 მოხსნა, 7 პასი.

**ალიკანტე-ხუვენტუდი 71:75**

ქუინტონ ჰოსლი: 29 წუთი, 8 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი.

**ადრიატიკის თასი**

**ოლიმპია-ბუდუჩნოსტი 68:53**

გიორგი შერმადინი: 12 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 2 დაფარება.

**ესტონეთის ჩემპიონატი**

**პარნუ-როკი 68:115**

გიორგი ცინცაძე: 14 წუთი, 10 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი.

**გერმანიის ჩემპიონატი**

**გისენი-ბრემერჰაფენი 79:83**

ლაშა გამყრელიძე: 31 წუთი, 9 ქულა, 7 პასი, 1 ჩაჭრა.

### ჭადრაკი. ფედერაციის ყრილობა

# გია გიორგაძე ახალი ვადით

ჭადრაკის სასახლეში გამართულ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყრილობაზე ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის პრეზიდენტად ზედიზედ მეორედ კვლავ **გია გიორგაძე** აირჩიეს. ვიცე-პრეზიდენტის პოსტი შეინარჩუნა **ზურაბ მიქაძემ,** ხოლო გენერალურ მდივნად აჭარის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, **აკაკი იაშვილი** აირჩიეს. გამგეობის ადრინდელ შემადგენლობას **ხვიჩა სუპატაშვილი** და **ლაშა ჯანჯღავა** დაემატნენ.

შაბათის ლელოში გამოქვეყნებული კროსვორდისა და ვიქტორინის პასუხები

**თარაზულად:** 1. ქორქია; 4. აფციაური; 10. ივანოვიჩი; 11. რაგბი; 12. ეროსი; 14. პოლ; 15. პატი; 16. ინიესტა; 18. ბრასი; 20. ფერარი; 22. გიორგაძე; 23. რუუდ; 25. ჰაივეი; 27. კარელინი; 28. "აიაქსი"; 30. ალონსო; 31. ალური;

**შვეულად:** 1. "ქაისერისფორი"; 2. "რიასორი"; 3. იპონი; 5. "ფეიენოორდი"; 6. ისარი; 7. ურუგვაი; 8. იარიგინი; 9. სინი; 13. სტრიტბოლი; 17. ევანდერი; 19. სარმა; 21. მძლეოსანი; 24. უნცია; 26. იგანი; 27. კროლი; 28. ალუ; 29. პსჟ.

**ვიქტორინის პასუხები**: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესტი

# ბოლომდე, ჟინით, თავდადებით...

27 ნოემბერი. თბილისი. ზ. პაიჭაძე

| | |
|---|---|
| საქართველო | 19 |
| აშშ | 17 |

საქართველო (15-9) ხამაშურიძე, მაჩხანელი (სამხარაძე 58), ჩხიკვაძე (კაჭარავა 41), ზიბზიბაძე, გუგავა, მალალურაძე (კვირიკაშვილი 52), აბუსერიძე. (1-8) შველიძე (ზირაქაშვილი 41), გიორგაძე (ნატრიაშვილი 41), ქუბრიაშვილი (შველიძე 79), სუთიაშვილი, დათუნაშვილი (ნემსაძე65), ს. მაისურაძე, ჩხაიძე, უდესიანი (კოლელიშვილი 72).

*ლ: გუგავა. 4ს: მალალურაძე (3), კვირიკაშვილი. გ: კვირიკაშვილი.*

სინბინი: აბუსერიძე

აშშ (15-9) ვაილესი, ნგვენია, ემერიკი, სუნიულა, სვირინი, მალიფა, უსასზი (პეტრი). (1-8) მოეაკოლა (მაკდონალდი 61), თიელი (ბილერი 62), პიტმანი, მანოა, სმითი, სტენფილი (სტივენი 58), კლევერი, ბასაური (ჯონსონი 65).

*ლ: ემერიკი. 2ს: მალიფა. 2ა: მალიფა, ვაილესი.*

სინბინი: სმითი.

მსაჯი: პიტერ ალენი (შოტლანდია)

„ვიცოდით, რომ მძიმე მატჩი გველოდა, გაოცებული ვარ და ვამაყობ ჩემი გუნდის თამაშით. იმედია, მოედანზე კიდევ ბევრჯერ შევხვდებით," - ასე გამოგვემშვიდობა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების ირლანდიელი მწვრთნელი **ედი ოსალივანი.**

ამერიკელმა „არწივებმა" მართლაც საუცხოოდ ირაგბეს. კარგად ჩანდა, რომ საქართველოს ნაკრების თამაში ზედმიწევნით, დეტალებში ჰქონდათ შესწავლილი, მაგრამ „ბორჯღალოსნების" ჩვეულ ჟინიან, ბოლომდე თავდადებულ ბრძოლას ველარაფერი დაუპირისპირეს. ჩვენმა მორაგბეებმა მატჩის ბოლო წამებამდე გვარიანად კი გვანერვიულეს, მაგრამ წლევანდელი წარმატებული სეზონი უმძიმეს, ნაღდ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებით დაასრულეს - 19:17.

ცხადია, ჩვენი გუნდის თამაშში ბლომად იყო შეცდომა. სწორედ ამ შეცდომების შედეგად ამერიკელები 43-წუთის განმავლობაში წინ იყვნენ და გამარჯვებამდეც ალარაფერი აკლდათ. შეცდომებს, ზოგადად გუნდის ცუდად თუ უკეთ თამაშს, ცხადია, ობიექტური და სუბიექტური მიზეზები გააჩნია. მთავარია, ეს მიზეზები დროულად შენიშნო და მათ აღმოსაფხვრელად ქმედითი ზომები მიიღო.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბმა ეს მოახერხა. ცვლილებები გუნდის შემადგენლობაში დროულად განახორციელა, რის შემდეგაც „ბორჯღალოსნების" თამაში უფრო ცოცხალი, აგრესიული გახდა. თუმცა მივყვეთ თანმიმდევრულად.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ევროპაში ერთი თვის წინ ჩამოვიდა და სანამ თბილისში გვეწვეოდა, სამი მატჩი გამართა. თუ „არწივების" მთავარ მწვრთნელს ვენდობით, თბილისში ოპტიმალური შემადგენლობით გვეწვივნენ.

საქართველოს ნაკრებში კი რადიკალურად განსხვავებული ვითარება იყო. „ბორჯღალოსნები" ორი კვირის წინათ შეიკრიბნენ და კანადის ნაკრებთან საკმაოდ მძიმე თამაში ჰქონდათ. გუნდს ტრავმირებულ **ილია ზედგინიძესა** და დისკვალიფიცირებულ **მამუკა გორგოძესთან** ერთად „ნეკერჩხლის" ფოთლებთან" მატჩში დაშავებულები **მალხაზ ურჯუკაშვილი** და **გია ლაბაძეც** დააკლდა.

ამასთან, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რიჩი დიქსონმა** გადაწყვიტა, თავის გამოჩენის საშუალება სხვა პირველხაზელებისთვისაც მიეცა. გუნდის ლიდერი და ძირითადი მარჯვენა ბურჯი **დავით ზირაქაშვილი** თადარიგში გადაიყვანა, მისი პოზიცია კი ფრანგული „ტულონის" ბურჯ **დავით ქუბრიაშვილს** ანდო. მარცხენა ბურჯი **დავით ხინჩაგიშვილი** განაცხადში ვერ მოხვდა, მის ნაცვლად **გოდერძი შველიძემ** ითამაშა.

ცვლილება განხორციელდა მესამე ხაზშიც. ლაბაძის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში ადგილი **სიმონ მაისურაძეს** ერგო. ფულბეკად კი მახოს ნაცვლად ქუთაისის „აიას" მოთამაშე მწვრთნელმა **ბესიკ ხამაშურიძემ** ითამაშა.

მატჩი ბორჯღალოსნების აქტიურობით დაიწყო. ამერიკელები 17 წუთის განმავლობაში მოედნის საკუთარ ნახევარზე იყვნენ ჩაკეტილები და შეტევის ორგანიზებას ვერაფრით ახერხებდნენ. ანგარიში საქართველოს ნაკრებმა მალევე, მესამე წუთზე გახსნა. მგეზავმა **ლაშა მალალურაძემ** საჯარიმო 40 მეტრიდან გაიტანა - 3:0.

ჩვენი გუნდის შეტევებს სიმწვავე არც ამის მერე მოჰკლებია, მაგრამ ამერიკელთა დაცვა შეუვალ კედლად იდგა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა უკანახაზელებმა ორჯერ მაინც შეძლეს ხაზის გაჭრა. ჯერ ფულბეკი ბესიკ ხამაშურიძე გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე, მას პირველხაზელი გოდერძი შველიძე მიჰყვა, მაგრამ „ანტილოპას" გადაცემა ოდნავ ძლიერად მოუვიდა და „ობიმ" ბურთი ვერ შეინარჩუნა. მერე იმავე ხამაშურიძის მონაწილეობით მეტოქის 22-მეტრიანი ზონის ხაზთან კომბინაცია „ორმაგი ჯვარი" გაითამაშეს და ამერიკელთა ხაზი გარემარბმა **ლექსო გუგავამ** გაჭრა. სამწუხაროდ, ლოგიკური გაგრძელება არც ამ შეტევას მოჰყვა.

როგორც უკვე ვთქვით, ამერიკელები მოედნის ჩვენს ნახევარზე მე-17 წუთზე გადმოვიდნენ და საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს. „არწივების" მგეზავმა **ნესე მალიფამ** ვერ იყოჩაღა — ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა.

სამაგიეროდ, რვა წუთში მეტოქის კარი ზუსტად დალაშქრა მალალურაძემ და ანგარიში 6:0 გახდა. „ბორჯღალოსანთა" უპირატესობა ნელ-ნელა იზრდებოდა. ერთ-ერთ ეპიზოდში გარემარბი ლექსო გუგავა ამერიკელთა მეორეხაზელმა **ჰეიდენ სმითმა** აკრძალული ხერხით შეაჩერა და არბიტრმა სინბინში გაუშვა. საჯარიმო ლელოდან 35 მეტრში დაინიშნა. შეიძლებოდა კარში დარტყმა ან თუნდაც ბურთის აუტში გადატანა, მაგრამ ჩვენმა მორაგბეებმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს და საჯარიმო დარტყმის ნაცვლად შერკინება მოითხოვეს. აქ მეტოქეს ორიოდ მეტრი კი დაახევინეს, მაგრამ მერე ბურთი ხაზზე უხეიროდ გაიტანეს და შეტევა ჩაიშალა.

ამ ეპიზოდიდან მოყოლებული ამერიკელები ნელ-ნელა უპირატესობას დაეუფლნენ. ყველაფერთან ერთად, „ბორჯღალოსნებმა" რამდენჯერმე დერეფანშიც ცუდად აგდეს ბურთი, რითაც მეტოქეს შეტევების ორგანიზების მეტი საშუალება მისცეს. გუნდი აირია და შესვენებამდე ვერაფრით დალაგდა.

ამერიკელებმა ანგარიშში სხვაობის შემცირება 31-ე წუთზე მოახერხეს. საქართველოს ნაკრების მესამეხაზელმა **ბესო უდესიანმა** ბურთი ჩვენს ოცდაორმეტრიან ზონაში დანიშნული შერკინებიდან აიტაცა და მარჯვენა, მოკლე ფრთაზე შეუტია. მეტოქემ მისი შეჩერება და გვერდითი ხაზის მიღმა გადაყვანა შეძლო. ამერიკელებმა აუტიდან ბურთი



მარცხნივ ირაკლი აბუსერიძე, მოლში ლევან დათუნაშვილი და შალვა სუთიაშვილი, მარჯვნივ დავით ქუბრიაშვილი და აქვსენტი გიორგაძე

სწრაფად შემოიტანეს და მარჯვნივ გრძელ ფრთაზე ხაზზე ბოლომდე ჩაათამაშეს. „ბორჯღალოსნებმა" დაცვის განაწყობა ველარ მოასწრეს და შუამარბმა **პაულ ემერიკმა** ლელო ალამთან გაგვიტანა. მალიფამ ვერ გარდასახა - 5:6.

ტაიმის დასრულებამდე ამერიკელები კიდევ უფრო აქტიურად ათამაშდნენ. 37-ე წუთზე მალიფამ საჯარიმოთი წინ გაიყვანა თავისიანები. პირველი ნახევრის მიწურულს კი არეკნით ანგარიშში სხვაობა 5 ქულამდე გაზარდა. 11:6-ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენებისას დიქსონმა სამი ცვლილება განახორციელა. თამაშში პირველხაზელები დავით ზირაქაშვილი და **ირაკლი ნატრიაშვილი** ჩაერთნენ, შუამარბი **ირაკლი ჩხიკვაძე** კი **დავით კაჭარავამ** შეცვალა. მათ თამაშში მეტი დინამიკა და აგრესია შეიტანეს.

მეორე ტაიმის დასაწყისი ისევ ჩვენი მორაგბეების აქტიურობით აღინიშნა და მალალურაძემ მალევე საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა - 9:11. სტუმრებმა თამაში მოედნის ცენტრიდან განაახლეს, მაღალი დაკიდებული ბურთი ჩვენმა მორაგბეებმა ვერ დაიჭირეს და ისევ ამერიკელების ნადავლი გახდა. „არწივები" სწრაფ ტემპში, იერიშის მიმართულების ხშირი ცვლით ცდილობდნენ „ბორჯღალოსნების" ხაზის გაჭრას, თუმცა მაქსიმუმ რასაც აღწევდნენ, საჯარიმო დარტყმის უფლება იყო. მალიფამ 49-ე წუთზე სწორედ საჯარიმოდან აღადგინა ხუთქულიანი უპირატესობა - 14:9.

მალე მასვე შეეძლო კიდევ უფრო დაეწინაურებინა თავისიანები, მაგრამ, ისევე როგორც პირველ ტაიმში, ხელსაყრელი პოზიციიდან უხეიროდ დაარტყა. დიქსონმა, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, დროული და სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მგეზავ ლაშა მალალურაძის ნაცვლად მოედანზე **მერაბ კვირიკაშვილი** შეუშვა.

„მეკომ" უკანა ხაზის თამაში უფრო აქტიური, საინტერესო გახადა. 59-ე წუთზე მან საჯარიმო 48 მეტრიდან გაიტანა და სხვაობა ისევ ორამდე შეამცირა - 12:14. სამწუხაროდ, ამერიკელებმა მომდევნო შეტევისასვე შეძლეს კიდევ ერთხელ ჩვენი კარის დალაშქვრა. ამჯერად არეკნი ფულბეკმა **კრის ვაილესმა** გაგვიტანა და სხვაობა ისევ ხუთი ქულა - 12:17.

ეს ანგარიში თამაშის ბოლომდე შენარჩუნდა. ბოლო 13 წუთი „ბორჯღალოსნებმა" შეტევაში გაატარეს, მაგრამ მიზნის მიღწევის საშუალებას ხან მეტოქე არ აძლევდა, ხანაც მსაჯები. ცხადია, უცოდველნი არც თვითონ იყვნენ, შეცდომები უხვად მოსდიოდათ და როცა მატჩის გადარჩენის იმედი თითქმის ყველას გადაეწურა, გამარჯვების მომტანი ლელო ბოლო წამებზე გაიტანეს.

ჩვენი გუნდის მორიგი შეტევა ზედ მეტოქის ლელოს მისადგომებთან ჩაიშალა. არბიტრმა ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში ამერიკელთა სასარგებლოდ შერკინება დანიშნა. „ბორჯღალოსნებმა" ძალები მოიკრიბეს, მეტოქეს ორიოდ მეტრი უკან დაახევინეს. ბურთი შერკინებიდან უეცრად გამოვარდა, მაგრამ ცხრა ნომერმა **ირაკლი აბუსერიძემ** იყოჩაღა, ამერიკელთა მესამეხაზელ **ტოდ კლევერი** შებოჭა და ბურთი ხელიდან გააგდებინა. „აბუს" მორკინალებიც წამოეშველნენ, წარმოქმნილ რაკში ბურთი ჩვენ დაგვრჩა. კვირიკაშვილმა დროულად შენიშნა მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე უმეთვალყუროდ მიტოვებული გარემარბი ლექსო გუგავა, ბურთი რაკიდან სწრაფად გამოიტანა და მოსხეპით, რამდენიმე მოთამაშის გამოტოვებით გუგავას გადააწოდა. ლექსოს წინააღმდეგობა არ შეხვედრია - 17:17. ახლა ყველაფერი ისევ კვირიკაშვილის ნერვებსა და ფეხჩუბინობაზე იყო დამოკიდებული. თუ „მეკო" გარდასახვას გაიტანდა, გამარჯვება „ბორჯღალოსნებს" დარჩებოდათ. კვირიკაშვილმა არ დაგვალალატა და სტადიონზე მისულ ერთგულ ქომაგს უდიდესი სიხარული მოჰგვარა - 19:17.

თამაშის დასრულების შემდეგ მაყურებელი თავის გმირებს დიდხანს არ უშვებდა მოედნიდან. „ბორჯღალოსნებმა" სტადიონს საპატიო წრეზე შემოურბინეს და გულშემატკივრებს ერთგულებისთვის, ომახიანი ქომაგობისთვის მადლობა გადაუხადეს.



დავით ზირაქაშვილი (ბურთით), ირაკლი აბუსერიძე, ვიქტორ კოლელიშვილი, შალვა სუთიაშვილი

### მატჩის შემდეგ

**ედი ოსალივანი:** „ვიცოდით, რომ საკმაოდ ძლიერ, თავდადებით, აგრესიულად მოთამაშე გუნდთან მოგვიწევდა ბრძოლა, ამიტომ ჩვენც ასეთივე სტილში გადავწყვიტეთ თამაში.

საქართველოს ნაკრებმა შესანიშნავად ითამაშა შერკინებასა და დაცვაში. ფეხითაც ბრწყინვალედ ურტყეს, რაც ჩემთვის მოულოდნელი იყო."

**ტოდ კლევერი**, აშშ-ის ნაკრების კაპიტანი: *„ძალიან დავიღალე. ბოლომდე დავიხარჯეთ. ამაყი ვარ საკუთარი გუნდით, შესანიშნავად ითამაშეს. რა უნდა ვთქვა, მიხარია, რომ ძალიან მაგარ თამაშში მივიღე მონაწილეობა."*

**რიჩი დიქსონი:** *„პირველ ტაიმში ვცადეთ ახლებურად გვეთამაშა, რაღაც მომენტში მოთამაშეებს დაავიწყდათ, რა გეგმა გვქონდა დასახული და თამაშზე კონტროლი დავკარგეთ. შესვენებაზე ვუთხარით, რომ როგორც შეუძლიათ ისე ითამაშონ და ეცადონ, პოტენციალი მაქსიმალურად გამოავლინონ. მეორე ტაიმში გუნდი დამშვიდდა და, ჩვეული, ბოლომდე თავდადებული ბრძოლით გამარჯვებას მიაღწია.*

*ამერიკასთან თამაში ძნელი, მაგრამ ძალიან სასარგებლო იყო. სწორედ ასეთ გუნდებთან ბრძოლებში, მძლავრი ზეწოლის პირობებში უნდა ვცადოთ გუნდის თამაშში ახალი ელემენტების შემოღება. ასეთ მატჩებში უნდა შეთამაშდეს და ერთ მუშტად შეიკრას გუნდი. ახლა უკვე ვიცით, რაზე გვაქვს სამუშაო. მსოფლიო თასის გათამაშებამდე დრო კიდევ გვაქვს და ვეცდებით, ყველა ხარვეზი შეძლებისდაგვარად აღმოვფხვრათ".*

*აქვსენტი გიორგაძე: „დერეფანში თამაშში ხარვეზს მზადებისთვის არასაკმარის დროს დავაბრალებდი. ამასთან, მიზეზთა გამო გვაკლდა სამი ძირითადი მხტომელი ილია ზედგინიძე, გია ლაბაძე და მამუკა გორგოძე. ამიტომ იძულებული გავხდით ბევრი რამ შეგვეცვალა. ვცდილობდით, იმ ზონებში აგვეგდო ბურთი, სადაც მეტოქეს შედარებით დაბალი მოთამაშეები ჰყავდა.*

*ერთა თასის გათამაშებისას დრო მეტი გვექნება, იმედი მაქვს, ზემოხსენებული მორაგბეებიც მწყობრში იქნებიან და თამაშის ამ კომპონენტს გავაუმჯობესებთ".*

### ნოემბრის ტესტები

**პორტუგალია-კანადა 20:23, ინგლისი-სამხრეთ აფრიკა 11:21, უელსი-ახალი ზელანდია 25:37, იტალია-ფიჯი 24:16 საფრანგეთი-ავსტრალია 16:59, შოტლანდია-სამოა 19:16, ირლანდია-არგენტინა 29:9, ესპანეთი-ნამიბია 33:20**

### რეველში

| რუმინეთი-ურუგვაი | 39:12 |
|---|---|

A ჯგუფი: **ახალი ზელანდია, საფრანგეთი, ტონგა, კანადა, იაპონია.**

B ჯგუფი: **არგენტინა, ინგლისი, შოტლანდია, საქართველო, რუმინეთი.**

C ჯგუფი: **ავსტრალია, ირლანდია, იტალია, რუსეთი, აშშ.**

D ჯგუფი: **სამხრეთ აფრიკა, უელსი, ფიჯი, სამოა, ნამიბია.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

sport.gov.ge

# უცხოური სპორტი

## ამბები

კალათბურთი

### დაზარალებული ობამა

ამერიკის პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** მეგობრებთან და ნათესავებთან კალათბურთის თამაშისას ტუჩი დაიზიანა.

როგორც BBC-ის კორესპონდენტი წერს, ობამამ მადლიერების დღეს კალათბურთის თამაში გადაწყვიტა. ერთ-ერთ ეპიზოდში მეტოქე გუნდის მოთამაშემ ამერიკის პრეზიდენტს შემთხვევით იდაყვი ჩაარტყა და ტუჩი გაუხეთქა. ობამა ამის შემდეგ საავადმყოფოში მოხვდა, სადაც ჭრილობაზე 12 ნაკერი დაადეს.

თეთრი სახლი არ იტყობინება იმ მოთამაშის გვარს, რომელმაც პრეზიდენტს სახე დაუზიანა.

### ბოსტონი უესტს არ შეცვლის

„ბოსტონ სელტიქსის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ არ აპირებს ტრავმირებული **დელონტე უესტის** შემცვლელის ძებნას და გუნდი იმ მოთამაშეებით გააგრძელებს რეგულარულ ჩემპიონატს, რომელიც ამჟამად მთავარი მწვრთნელის **დოკ რივერსის** განკარგულებაში არიან. შეგახსენებთ, რომ დელონტემ ერთ-ერთ ბოლო მატჩში ხელი მოიტეხა და მინიმუმ სამი თვე მოუწევს მკურნალობა. შესაძლოა, უესტმა საერთოდ ვერ ითამაშოს ამ სეზონში.

*„ჩვენ კარგი მოთამაშეები გვყავს,* - განაცხადა გენერალურმა მენეჯერმა **დენი ეინჯმა**. - *უესტის არყოფნაში ბრედლი და უაფერი მიიღებენ თავის გამოჩენის საშუალებას. ახალი მოთამაშის შეძენის შემთხვევაში, რომელიმე მოქმედი კალათბურთელის გაშვება მოგვიწევდა, ამის გაკეთება კი არ გვინდა, რადგან გუნდის ყველა წევრს ვენდობით".*

ველოსპორტი

### ბასომ ჯიროს ტური ამჯობინა

2010 წლის ჯირო დ'იტალიას გამარჯვებული **ივან ბასო** მომავალ სეზონში არ დაიცავს იტალიური ველომარათონის ტიტულს. 33 წლის ველომრბოლმა 2011 წლისთვის აქცენტი ტურ დე ფრანსზე გააკეთა, შესაბამისად, მის გეგმებში არ შედის ჯიროზე მესამე გამარჯვება.

*„რა თქმა უნდა, ჯიროზე მესამე ტიტული პრესტიჟულია, მაგრამ ტურ დე ფრანსის მოგებაც ძალიან მინდა, ამიტომაც გადავწყვიტე მშობლიური რბოლის გამოტოვება",* - განაცხადა ბასომ.

იტალიელი „ლიკვიგასის" წევრია. ამ გუნდს მეორე ძლიერი ველომრბოლი ჰყავს **ვინჩენცო ნიბალის** სახით და სწორედ ის იქნება 2011 წლის ჯიროზე გუნდის ლიდერი.

ჩოგბურთი

### ჰიუიტი დაბრუნებას გეგმავს

ავსტრალიის საუკეთესო ჩოგბურთელი **ლეიტონ ჰიუიტი** მომავალ სეზონში ოპტიმალურ ფორმაში შესვლას გეგმავს. ამისთვის უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი თანამშრომლობას განაახლებს ცნობილ სპეციალისტ **ტონი როშთან**. ამით ლეიტონს შედეგების გაუმჯობესებისა და რეიტინგის საუკეთესო ოცეულში დაბრუნების იმედი აქვს. ამჟამად მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი 55-ე ადგილზეა კლასიფიკაციაში.

29 წლის ჰიუიტი 2007-09 წლებში თანამშრომლობდა როშთან. ამ უკანასკნელის გარდა, ლეიტონს ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელი **ჯონ იგლსიც** დაეხმარება.

### მელცერი წლის სპორტსმენი გახდა

ჩოგბურთელი **იურგენ მელცერი** ავსტრიაში წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. როლან გაროსის ნახევარფინალისტმა და უიმბლდონზე წყვილთა თანრიგის ჩემპიონმა ეს პრიზი პირველად დაისაკუთრა. 1995 წლის შემდეგ ის გახდა პირველი ჩოგბურთელი **ტომას მუსტერის** შემდეგ, ვინც ქვეყნის პირველი სპორტსმენის სტატუსი მიიღო.

გამოკითხვის თანახმად, რომელშიც ავსტრიელი სპორტული ჟურნალისტები მონაწილეობდნენ, მელცერმა 826 ხმა მიიღო. იურგენმა უკან ჩამოიტოვა ტრამპლინიდან მხტომელი **გრეგორ შლირენცაუერი** (562 ხმა) და ბიატლონისტი **კრისტოფ ზუმანი** (349).

*„ეს პრიზი იმის დამადასტურებელია, რომ მართლაც კარგი სეზონი ჩავატარე. ამ ჯილდოზე ყველა ოცნებობს და მის მნიშვნელობას 10-15 წლის შემდე გავაცნობიერებ, როცა ჩოგბურთში განვლილ გზას გავიხსენებ",* - განაცხადა ლაურეატმა.

### სერენას შემცვლელი მოუძებნეს

1-8 იანვარს ჰოფმანის თასზე ამერიკის ნაკრების რიგებში **სერენა უილიამსს ბეტანი მატეკი** შეცვლის. ჩოგბურთელი, რომელიც მსოფლიოს კლასიფიკაციაში 58-ე ადგილს იკავებს, ავსტრალიის ქალაქ პერტში **ჯონ ისნერს** გაუწევს პარტნიორობას.

როგორც იცით, სერენა უილიამსმა ერთი კვირის წინ გამოაცხადა, რომ ვერ ასწრებს ფეხის ტრავმის მკურნალობას და ამის გამო ჰოფმანის თასთან ერთად ავსტრალიის ღია პირველობასაც გამოტოვებს.

კრივი

### ჩემპიონი ლოთობას მკურნალობს

საშუალო წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონი **კელი პავლიკი** ამ წელს უკვე მეორედ მკურნალობს კალიფორნიის სარეაბილიტაციო ცენტრში ალკოჰოლიზმზე დამოკიდებულებას. შესაბამისად, ეჭვქვეშ დგას 28 წლის ამერიკელი მოკრივის მომავალი კარიერა.

*„ძალიან მინდა, გამოჯანმრთელდეს და ისევ გახდეს სანიმუშო ქმარი, მამა, შვილი და უბრალოდ ადამიანი",* - ამბობს ელის მამა.

მოკრივე წელს უკვე მეორედ სტუმრობს სარეაბილიტაციო ცენტრს. პირველ შემთხვევაში პავლიკი ორი კვირა მკურნალობდა და კურსი **სერხიო მარტინესთან** ბრძოლამდე ათი დღით ადრე დაასრულა. ის შეხვედრა აპრილში გაიმართა და კელიმ რინგი დამარცხებულმა დატოვა.

ამერიკელმა სმა 2007 წელს ტიტულის მოპოვების შემდეგ დაიწყო, თუმცა კარგა ხანი უარყოფდა ამ პრობლემას.

ფორმულა 1

### ტორო როსო არ შეიცვლება

2011 წლისთვის „ტორო როსოს" შემადგენლობა არ შეიცვლება. იტალიური საჯინიბოს საპრიზო პილოტები კვლავაც ესპანელი **ხაიმე ალგერსუარი** და შვეიცარიელი **სებასტიან ბუემი** იქნებიან.

ბოლო დროს გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, რომ ავსტრალიელი **დანიელ რიკარდო** ამ დუეტიდან რომელიმეს ჩაანაცვლებდა, მაგრამ ორი დღის წინ გუნდის ხელმძღვანელობამ რიკარდოსთან სარეზერვო პილოტის კონტრაქტი გააფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ავსტრალიელი პარასკევის თავისუფალ პრაქტიკებში მიიღებს მონაწილეობას.

*„აღელვებული ვარ ფორმულა 1-ში მუშაობის პერსპექტივით. მინდა მადლობა გადავუხადო გუნდს ამ შესაძლებლობისთვის. მომავალ სეზონში ჩემი ამოცანა მსოფლიოს სერიაში გამარჯვების მოპოვება იქნება, მაგრამ მთავარი მიზანი საპრიზო პილოტის კონტრაქტია",* - განაცხადა რიკარდომ.

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი




მაიამი ისევ აგებს

# შეშინებული ლებრონი

გასული უქმეების გმირად „დალას მავერიქსი" უნდა მოვნათლოთ, მთავარ მოვლენად კი „სან ანტონიოს სპურსის" 12-მატჩიანი მოგებათა სერიის შეწყვეტა. **გრეგ პოპოვიჩის** გუნდის შეჩერება სწორედ „კოვბოებმა" მოახერხეს.

ბოლოს ეს გუნდები ერთმანეთს შარშანდელი სეზონის პლეი ოფში შეხვდნენ. მაშინ „დალასი" მეორე ნომრად იყო განთესილი დასავლეთში და ამ სერიის ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ 2:4 დამარცხდა. რა თქმა უნდა, **რიკ კარლაილის** შეგირდები რევანშზე ფიქრობდნენ. მეტოქის მსგავსად, „მავერიქსიც" კარგი განწყობით შეხვდა ამ შეხვედრას - მის აქტივში სამმატჩიანი მოგებათა სერია იყო. ბრწყინვალე ფორმაშია „კოვბოების" ლიდერი **დირკ ნოვიცკი**, რომელმაც ბოლო ხუთ მატჩში საშუალოდ 32.4 ქულა დააგროვა.

შესაბამისად, გრეგ პოპოვიჩმა თავის მოთამაშეებს გერმანელის მჭიდრო მეურვეობა დაავალა. „სპურსის" რიგებში საკმაოდ არიან მძიმე ფორვარდები, რომლებსაც კარგი დაცვა ეხერხებათ, მაგრამ ვერც **ბლეირმა**, ვერც **მაკდაესმა** და ვერც **ბონერმა** ვერ შეძლეს ნოვიცკის „ჩაკეტვა". გერმანელმა მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა - 40 წუთში 14-დან 12 ტყორცნა გამოიყენა, 26 ქულა დააგროვა, 8 მოხსნა და 5 შედეგიანი პასი შეასრულა. სწორედ დირკმა 93:88-ზე უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩააგდო და მასპინძლებს თამაშის გადარჩენის შანსი მოუსპო.

„სან ანტონიოს" რიგებში ლიდერის ფუნქციები **მანუ ჯინობილიმ** იტვირთა. არგენტინელი მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა - 16-დან 9 ზუსტი ტყორცნა და 31 ქულა. მას კი მხარი სათადარიგო **ჯორჯ ჰილმა** აუბა - 21 ქულა, 3 მოხსნა და 3 ჩაჭრა.

პირველი ნახევარი „სან ანტონიოს" მცირე უპირატესობით მიმდინარეობდა და დიდი შესვენებისთვის მასპინძლების უპირატესობა მინიმალური იყო - 51:49. ეს სხვაობა შეინარჩუნეს მათ ბოლო მეოთხედის წინ, სანამ საქმეში არ ჩაერთო „დალასის" დაცვა. ამას დაემატა **შონ მერიონისა** და **ჯეისონ ტერის** გააქტიურება, ბოლოს კი პირველ პლანზე დირკ ნოვიცკი გამოვიდა. სტუმრები ხუთი ქულით გავიდნენ წინ, რის შემდეგაც იყო დირკის გადამწყვეტი ტყორცნა და ასე შეწყდა „სან ანტონიოს" 12-მატჩიანი მოგებათა სერია.

მომდევნო დღეს „დალასი" უკვე შინ იღებდა „მაიამი ჰიტს", რომლის სუსტი თამაში უკვე ნორმად იქცა. ამჯერად სტუმრების „დიდი ტრიო" საკმაოდ დაბალანსებულად მოქმედებდა, კარგად იყოფდა ბურთს, მაგრამ ეს მხოლოდ პირველ ტაიმში თანაბარი თამაშისთვის აღმოჩნდა საკმარისი.

მეორე ნახევარში უპირატესობა მთლიანად „დალასის" მხარეს გადავიდა. „კოვბოებმა" საჭირო სიჩქარე ჩართეს და ამ სიტუაციაში ისევ გამოჩნდა ფლორიდელთა სისუსტეები სამწამიან ზონაში. აქ „მაიამი" იმდენად სუსტად გამოიყურებოდა, რომ **ტაისონ ჩენდლერს** 14 ქულა და 17 მოხსნა დააგროვებინა. კარგი იყო მასპინძლების რეზერვიც - ტერიმ, მერიონმა და **ბასმა** პირწმინდად მოუგეს „მაიამის" სათადარიგოებს. საბოლოოდ, ბოლო 12 წუთისთვის „მავერიქსის" უპირატესობა 16 ქულას შეადგენდა. ბუნებრივია, სტუმრებმა სცადეს მატჩის გადარჩენა, მაგრამ დღეისთვის „ჰიტი" ასეთი გმირობებისთვის მზად არ არის.

სხვათა შორის, ამ კვირას „მაიამის" გასვლა ელის კლივლენდში **ლებრონ ჯეიმსის** ყოფილი კლუბის წინააღმდეგ. NBA-ს ვარსკვლავმა განაცხადა, რომ უკვე ძალიან ნერვიულობს ამ ვიზიტის გამო. *„როგორ შეიძლება ამაზე არ ვიფიქრო? დარბაზში ძალიან მტრული განწყობა იქნება - ამას უკვე ვგრძნობ. გულშემატკივრები ჩემ მიმართ აგრესიულად იქნებიან განწყობილნი და ვფიქრობ, NBA-მ და „კავალიერსის" ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნონ მოთამაშეთა უსაფრთხოებაზე. არც კი ვიცი, ღირს თუ არა ამ მატჩზე ოჯახისა და მეგობრების მიწვევა. ისინი ჩემ შესახებ ბევრ უწმაწურ ფრაზას მოისმენენ",* - აღიარა ჯეიმსმა.

■ ■ ■

ერთგვარი იუბილე ჰქონდა „ოკლაჰომას" ლიდერ **კევინ დურანტს**, რომელმაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 250-ე მატჩი ჩაატარა. თითქოს უმნიშვნელო მიღწევაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ კევინმა ამ ზღვარს 6360 ქულით მიაღწია და მოქმედ კალათბურთელებს შორის უფრო მეტი ქულა **შაკილ ო'ნილსა** (6830) და **ლებრონ ჯეიმსს** (6638) ჰქონდათ. გარდა ამისა, „ოკლაჰომას" ფორვარდს კიდევ ორი კალათბურთელი უსწრებს - **დეილ ელისი** (6505) და **სპენსერ ჰეივუდი** (6437).

დურანტის თანაგუნდელი **რასელ უესტბრუკი** კი გასული უქმეების საუკეთესო ბომბარდირი გახდა. „ოკლაჰომას" მცველმა „ინდიანას" 43 ქულა ჩაუგდო (თამაშიდან - 13/24, საჯარიმო - 17/18) და 8 მოხსნა, 8 პასი და 3 ჩაჭრაც მიითვალა. ამ შეხვედრის ბედი ოვერტაიმში გადაწყდა და დამატებით ხუთ წუთში „ოკლაჰომას" მიერ დაგროვილი 14 ქულიდან 12 - დურანტისა და უესტბრუკის ანგარიშზე იყო.

### 26 ნოემბერი

**ორლანდო-კლივლენდი 111:100**

32:22, 30:27, 23:25, 26:26

ო: ჰოვარდი (23+11 მოხსნა), ნელსონი (20+6 პასი), რედიკი (15+5 პასი), რიჩარდსონი (14), ლუისი (14), ბასი (10).

კ: ჯეიმისონი (22+7 მოხსნა), უილიამსი (20+8 პასი), სეშენსი (13+6 პასი), გრემი (10).

**შარლოტი-ჰიუსტონი 99:89**

22:26, 23:26, 27:16, 27:21

შ: უოლასი (21+14 მოხსნა), დიაო (20+10 მოხსნა), ჯექსონი (16), მუჰამედი (15+7 მოხსნა), ლივინგსტონი (10).

ჰ: ბადინგერი (19+8 მოხსნა), მარტინი (16), ჰილი (14), სკოლა (11+7 მოხსნა).

**ბოსტონი-ტორონტო 110:101**

31:20, 27:32, 28:15, 24:34

ბ: გარნეტი (26+11 მოხსნა), პირსი (18), დევისი (18), ალენი (17+8 პასი), ო'ნილი (16+9 მოხსნა), რონდო (4+14 პასი).

ტ: კლეიზა (18+7 მოხსნა), ბარბოზა (14), სტოიაკოვიჩი (13), კალდერონი (12+15 პასი), ბარნიანი (11+8 მოხსნა), ჯონსონი (11+6 მოხსნა).

**დეტროიტი-მილუოკი 103:89**

29:18, 26:25, 20:21, 28:25

დ: სტაკი (18+7 პასი), ჰემილტონი (15+9 პასი), ვილანუევა (15+8 მოხსნა), პრინსი (14+7 მოხსნა), ბინუმი (13), გორდონი (11), მაქსიელი (10).

მ: ჯენინგსი (25+6 პასი), ილიასოვა (14+11 მოხსნა), სალმონსი (11), მაგეტი (10+7 მოხსნა).

**მაიამი-ფილადელფია 99:90**

25:17, 26:30, 22:24, 26:19

მ: უეიდი (23+8 პასი+6 მოხსნა), ჯეიმსი (20+8 მოხსნა+6 პასი), ბოში (18+9 მოხსნა), აროიო (17).

ფ: მიქსი (21), იგუოდალა (20+9 მოხსნა+5 პასი), ბრენდი (12+8 მოხსნა), იანგი (11+6 მოხსნა).

**ინდიანა-ოკლაჰომა 106:110 (ო)**

20:23, 32:21, 24:27, 20:25, 10:14

ი: გრეინჯერი (30), ჰიბერტი (19+10 მოხსნა), მაკრობერტსი (13+8 მოხსნა), დანლივი (12+10 მოხსნა), კოლისონი (10+5 პასი).

ო: უესტბრუკი (43+8 პასი+8 მოხსნა), დურანტი (25+8 მოხსნა), გრინი (15+14 მოხსნა), სეფოლოშა (13+10 მოხსნა).

**სან ანტონიო-დალასი 94:103**

29:27, 22:22, 22:22, 21:32

ს-ა: ჯინობილი (31), ჰილი (21), დანკანი (15+8 მოხსნა).

დ: ნოვიცკი (26+8 მოხსნა+5 პასი), ჩენდლერი (19+8 მოხსნა), მერიონი (19), კიდი (12+6 პასი+6 მოხსნა), ტერი (12+6 პასი).

**დენვერი-ჩიკაგო 98:97**

25:20, 23:18, 28:35, 22:24

დ: ენტონი (22+8 პასი+6 მოხსნა), ნენე (18+7 მოხსნა), ლოუსონი (17), აფლალო (13).

ჩ: უოტსონი (33), დენგი (24+11 მოხსნა), ნოა (17+16 მოხსნა).

**ფინიქსი-კლიპერსი 116:108**

42:21, 25:30, 31:30, 18:27

ფ: რიჩარდსონი (29+6 მოხსნა), ტურკო (25+6 მოხსნა), ნეში (16+10 პასი), ფრაი (16), ჰილი (12+5 პასი).

კ: გორდონი (32+6 პასი), გრიფინი (20+14 მოხსნა), გომესი (20), კუკი (16+10 მოხსნა).

**იუტა-ლეიკერსი 102:96**

17:33, 29:17, 29:22, 27:24

ი: უილიამსი (29+12 პასი), ჯეფერსონი (20+8 მოხსნა), მილსეპი (13+8 მოხსნა), კირილენკო (11+7 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (31), გასოლი (21+11 მოხსნა), ოდომი (16+10 მოხსნა+5 პასი), არტესტი (11).

**მემფისი-გ. სტეიტი 116:111**

30:24, 33:29, 24:29, 29:29

მ: გეი (25), მაიო (23), რენდოლფი (14+7 მოხსნა), კონლი (14+5 პასი), ვასკესი (10).

გ-ს: ბიედრინსი (28+21 მოხსნა), კარი (26), ელისი (23+8 პასი), ადრიანი (12+8 მოხსნა), რაიტი (10+8 პასი+6 მოხსნა).

**პორტლენდი-ნიუ ორლეანი 78:97**

33:26, 15:28, 17:21, 13:22

პ: როი (27), ოლდრიჯი (14+9 მოხსნა).

ნ-ო: გრინი (19), არიზა (18+7 მოხსნა), პოლი (16+13 პასი+6 მოხსნა), უესტი (14+7 მოხსნა), ბელინელი (14).

### 27 ნოემბერი

**ნიუ იორკი-ატლანტა 90:99**

22:32, 16:24, 28:19, 24:24

ნ-ი: სტაუდმაიერი (24+10 მოხსნა), ფელტონი (18), ფილდსი (15+11 მოხსნა), ჩენდლერი (15+6 მოხსნა).

ა: კროუფორდი (21), ჰორფორდი (17+9 მოხსნა), ბიბი (14), უილიამსი (13+8 მოხსნა), სმიტი (13+6 მოხსნა), ჯონსონი (7+10 მოხსნა+7 პასი).

**ვაშინგტონი-ორლანდო 99:100**

20:30, 23:25, 29:19, 27:26

ვ: არენასი (31+5 პასი), იანგი (21), ბლეტჩი (10+13 მოხსნა).

ო: ჰოვარდი (32+11 მოხსნა), რიჩარდსონი (20+6 მოხსნა), ნელსონი (11).

**კლივლენდი-მემფისი 92:86**

22:32, 23:19, 30:16, 17:19

კ: უილიამსი (25+12 პასი), ჰიქსონი (16), გრემი (12).

მ: გეი (17+6 პასი), რენდოლფი (13+11 მოხსნა), მაიო (13), კონლი (11+5 პასი).

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 102:86**

27:24, 19:24, 20:18, 36:20

ფ: ჰოლიდეი (20+13 პასი), იგუოდალა (16+7 მოხსნა), უილიამსი (15+5 პასი), ბრენდი (14+10 მოხსნა), იანგი (13).

ნ-ჯ: ლოპესი (25+6 მოხსნა), ჰარისი (19+6 პასი), ჰემფრიზი (7+15 მოხსნა).

**მინესოტა-გ. სტეიტი 94:104**

26:28, 25:20, 17:36, 26:20

მ: ბიზლი (28+9 მოხსნა), ლავი (21+22 მოხსნა), რიდნური (16+6 პასი).

გ-ს: რაიტი (30), ელისი (26+10 პასი), კარი (20+7 პასი), ლი (10+6 მოხსნა), ბიედრინსი (2+12 მოხსნა).

**დალასი-მაიამი 106:95**

26:26, 25:23, 31:17, 24:29

დ: ბატლერი (23), ნოვიცკი (22+6 მოხსნა), ჩენდლერი (14+17 მოხსნა), მერიონი (14), ბარეა (13), ტერი (12), კიდი (5+13 პასი+8 მოხსნა).

მ: ჯეიმსი (23+8 მოხსნა), უეიდი (22+9 მოხსნა+5 პასი), ბოში (22+8 მოხსნა).

**მილუოკი-შარლოტი 104:101**

29:16, 31:37, 22:19, 22:29

მ: ჯენინგსი (32+7 პასი), ილიასოვა (17+9 მოხსნა+6 პასი), სალმონსი (16+7 პასი), დაგლას რობერტსი (11), სანდერსი (10).

შ: ოგუსტინი (26+6 პასი), უოლასი (19), ლივინგსტონი (16), მაკგუაირი (13+15 მოხსნა).

**საკრამენტო-ჩიკაგო 85:96**

28:21, 29:23, 19:25, 9:27

ს: ტომპსონი (18+9 მოხსნა), ევანსი (17+9 პასი+6 მოხსნა), გრინი (13+7 მოხსნა), დალემბერი (12+6 მოხსნა+5 დაფარება).

ჩ: როუზი (30+7 პასი+7 მოხსნა), დენგი (22+9 მოხსნა), ნოა (17+8 მოხსნა+5 პასი).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## უცხოური სპორტი

### კრივი

# მეფე არტური დამარცხებულია

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში საშუალოწონოსანთა ტურნირის - Super Six-ის მორიგი ბრძოლა გაიმართა, რომელშიც პარალელურად WBA-ის ვერსიით ვაკანტური ტიტული თამაშდებოდა. რინგზე ერთმანეთის წინააღმდეგ წარდგნენ გერმანელი **არტურ აბრაჰამი** და ინგლისელი **კარლ ფროჩი**.

ბუკმეიკერები აშკარა ფავორიტად „მეფე არტურს" ასახელებდნენ, რომლის მოგებაზე კოეფიციენტი 1.45-ს უდრიდა, ფროჩისა - 2.65-ს. თუმცა ბრიტანელს ბრძოლის წინ ძალთა თანაფარდობა ნაკლებად აღელვებდა და შეხვედრის ვადაზე ადრე დასრულებით იმუქრებოდა. ვალში არც სომხური წარმოშობის გერმანელი რჩებოდა.

სიტყვიერი დუელის მიუხედავად, ბრძოლის დასაწყისი საკმაოდ მოსაწყენი გამოვიდა. მოკრივეები ნელ ტემპში მოქმედებდნენ და დაცვაში მაქსიმალურ სიფრთხილეს იჩენდნენ. ფროჩი ასე თუ ის ცდილობდა კონტრშეტევაზე წასვლას, აბრაჰამი კი მთლიანად „ჩაიკეტა".

მაგრამ ბრძოლის სურათი მეხუთე რაუნდის შემდეგ კარდინალურად შეიცვალა. ტემპმა და აქტიურობამ იმატა და ამ სიტუაციაში თავს უფრო კომფორტულად ფროჩი გრძნობდა. მისი მოქმედებები უფრო გააზრებული და სახიფათო იყო.

მეცხრე რაუნდისთვის აბრაჰამი უკვე ძალიან აგებდა ქულებით. გერმანელი ხვდებოდა ამას და საერთოდ დაივიწყა დაცვა. თუმცა ფროჩმა ბოლო ორ რაუნდში გაძლო, რამდენიმე უსიამოვნო შეტევა მოიგერია და მსაჯების გადაწყვეტილებით მოიგო. გამარჯვება უდავო იყო - ორმა მსაჯმა 120:108 დააფიქსირა, მესამემ ერთით მეტი ქულა გაიმეტა აბრაჰამისთვის - 120:109.

ზედიზედ 31 გამარჯვების შემდეგ, აბრაჰამმა პროფესიულ რინგზე ზედიზედ მეორე ბრძოლა წააგო. ამა წლის მარტში მას წესების დარღვევისთვის წაგება ჩაუთვალეს **ანდრე დირელთან** შეხვედრაში.


ფროჩი მოგებას ზეიმობს


გოლფი საშიში ყოფილა

### გოლფი

# გოლფის ბურთი სახიფათოა

**ტრაგიკული** შემთხვევა მოხდა ფლორიდის შტატში მდებარე გოლფკლუბ „მეიფეირში". სპორტსმენის მიერ დარტყმულმა ბურთმა 30 მეტრი იფრინა და თავში მოხვდა სპორტული პარკის თანამშრომელს, რომელიც იმ მომენტში მინდორს რწყავდა. 42 წლის მამაკაცი საავადმყოფოს სარეანიმაციო განყოფილებაში გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

დარტყმის მომენტში 45-გრამიანი ბურთის სიჩქარე საათში 200 კილომეტრს აღწევდა. ქალაქ სენფორდის შერიფმა **ვიდ მორგენშტერნმა** განაცხადა, რომ არ აპირებს „მკვლელისთვის" - 35 წლის გოლფისტ **ბრაიან დონაჰიუსთვის** ბრალდების წაყენებას.

*„ეს უბედური შემთხვევა იყო და ნებისმიერს შეიძლება მოსვლოდა,* - ამბობს პოლიციელი. - *კლუბის თანამშრომელი არ იმყოფებოდა გოლფისტის თვალთახედვის არეში და თავადაც ვერ ხედავდა მისკენ წასულ ბურთს".* მორგენშტერნის თქმით, დონაჰიუ შოკშია.

ახლა „მეიფეირის" ყველა თანამშრომელი შეშფოთებულია იმით, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს სულ რაღაც 5-სანტიმეტრიანი დიამეტრის ბურთი. *„ასეთი ალბათობა არსებობს, მაგრამ ის ძალიან მცირეა,* - ამბობს გოლფკლუბის ერთ-ერთი თანამშრომელი. - *სამი კვირის განმავლობაში ყოველდღე მოედანზე ვმუშაობდი, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა".*

### ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

#### 26 ნოემბერი

**ბოსტონი-კაროლინა 0:3**

0:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 სკინერი-7 (ტ. რუუტუ-10, კორვო-5), 0:2 ტ. რუუტუ-5 (ი. უაიტი-7, პიტკანენი-11), 0:3 ი. იოკინენი-5 (ე. სტაალი-15, სკინერი-12).

**აილენდერსი-ნიუ ჯერსი 2:0**

1:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 იონსუუ-1 (ნილსენი-10, გრაბნერი-3), 2:0 შრემპი-2 (კომო-7, ვიშნიევსკი-12).

**ფილადელფია-კალგარი 2:3 (ბ)**

0:0, 2:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ჟერდიოვი-8 (მ. კარლი-8, ბეტსი-6), 1:1 გლენკროსი-7, 2:1 ვან რიმსდიკი-3 (მ. რიჩარდსი-16), 2:2 სტაიოსი-1 (ტანგეი-12, იგინლა-9).

**ბულიტები გაიტანეს:** ჟირუ (ფილადელფია), ჰაგმანი (კალგარი), ბურკი (კალგარი).

**პიტსბურგი-ოტავა 2:1**

0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ვინჩესტერი-3 (ი. რუუტუ-3, კარლსონი-8), 1:1 მალკინი-8 (ტაილერ კენედი-4, კროსბი-22), 2:1 გოლიგოსკი-5 (ზ. მიხალეკი-5, ტაილერ კენედი-5).

**მინესოტა-ნეშვილი 5:2**

3:0, 1:0, 1:2

**გოლები:** 1:0 ჟიდლიცკი-3 (კლატერბაკი-1, მიეტინენი-5), 2:0 ბრუნეტი-4 (ო'სალივანი-1, მ. კოივუ-13), 3:0 ჰავლატი-4 (ჟიდლიცკი-7), 4:0 შულცი-2 (ჰავლატი-15), 4:1 სალივანი-6 (კ. უილსონი-5, ჰორნკვისტი-5), 5:1 ჰავლატი-5 (კულენი-12, ჟიდლიცკი-8), 5:2 ერატი-2 (ჰორნკვისტი-6, რ. სატერი-5).

**ანაჰაიმი-ჩიკაგო 1:4**

1:0, 0:1, 0:3

**გოლები:** 1:0 სექსტონი-1 (ს. კოივუ-5, ფაულერი-8), 1:1 კიტი-2 (შარპი-11), 1:2 შარპი-14, 1:3 ჰიალმარსონი-1 (ბოლანდი-4, ტეუვზი-10), 1:4 ბროუერი-4 (დოუელი-6, სკილი-7).

**ვაშინგტონი-ტამპა ბეი 6:0**

1:0, 4:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯ. კარლსონი-3 (მ. იოჰანსონი-1), 2:0 ერსკინი-3 (ფეჰეი-1, ლეიჩი-11), 3:0 სიომინი-15 (მ. იოჰანსონი-2), 4:0 სიომინი-16 (ბექსტრიომი-16, ოვეჩკინი-20), 5:0 სიომინი-17 (ბექსტრიომი-17, ოვეჩკინი-21), 6:0 პოტი-2 (ჰენდრიქსი-5).

**კოლამბუსი-დეტროიტი 1:2**

0:0, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 ფრანცენი-10 (ბერტუცი-13, ფილპულა-6), 0:2 ფილპულა-5 (ბ. სტიუარტი-8, ჰუდლერი-5), 1:2 ვერმეტი-5 (ბოლი-3, უმბერგერი-9).

**ატლანტა-მონრეალი 3:0**

1:0, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 პევერლი-4 (ბერგფორსი-10, ენსტრიომი-16), 2:0 ენსტრიომი-3, 3:0 პევერლი-5 (ბიფულინი-13, ლედი-16).

**ბაფალო-ტორონტო 3:1**

2:0, 0:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ლეოპოლდი-6 (სეკერა-4), 2:0 ვანეკი-9 (დ. როი-15, ადამი-1), 3:0 კალეტა-3 (გოსტადი-5), 3:1 კესელი-10.

**ფლორიდა-რეინჯერსი 0:3**

0:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 სტეპანი-6 (შ. ეივერი-9, მ. სტაალი-4), 0:2 კელეჰანი-6 (კრისტენსენი-6, ემინგერი-2), 0:3 პრუსტი-1 (მ. სტაალი-5).

**დალასი-სენტ ლუისი 3:2**

0:1, 1:1, 2:0

**გოლები:** 0:1 ენდი მაკდონალდი-7 (პიეტრანჯელო-11, ჯეკმენი-4), 1:1 ბ. რიჩარდსი-11 (ლ. ერიქსონი-14, დელეი-5), 1:2 ენდი მაკდონალდი-8 (ბეკსი-10), 2:2 ბენი-4, 3:2 რიბეირო-3 (ბენი-8).

**ვანკუვერი-სან ხოსე 6:1**

1:1, 2:0, 3:0

**გოლები:** 1:0 ტამბელინი-3 (ედლერი-13, კესლერი-5), 2:0 ჰიტლი-9 (ჯ. ტორნტონი-14, დ. ბოილი-14), 2:1 ტორესი-8 (ჰანსენი-4, ჰამჰუისი-2), 3:1 სამუელსონი-5 (გლესი-4), 4:1 სამუელსონი-6, 5:1 ბაროუზი-3 (ჰ. სედინი-25, დ. სედინი-14), 6:1 ბალარდი-1.

#### 27 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 2:1 (ბ)**

1:0, 0:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 მეირი-1 (კლარკსონი-3, როლსტონი-2), 1:1 ბრიერი-12 (ჰარტნელი-11, ჯ. კარტერი-8).

**ბულიტები გაიტანეს:** ჟერდიოვი (ფილადელფია), არნოტი (ნიუ ჯერსი), ზაიაცი (ნიუ ჯერსი).

**პიტსბურგი-კალგარი 4:1**

0:0, 2:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ეშემი-3 (ლეტანგი-16, ორპიკი-3), 2:0 კროსბი-16 (კუნიტცი-6, ლეტანგი-17), 3:0 კროსბი-17 (მარტინი-11, ლეტანგი-18), 3:1 ბურკი-11 (ტანგეი-13, ბოუმისტერი-6), 4:1 კროსბი-18 (ორპიკი-4).

**მონრეალი-ბაფალო 3:1**

1:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ა. კოსტიცინი-9 (ჯონტა-8, პლეკანეცი-14), 2:0 ჯონტა-6 (ა. კოსტიცინი-9), 3:0 ჯონტა-7 (პლეკანეცი-15, შპაჩეკი-8), 3:1 ლეოპოლდი-7 (ჰეხტი-4, პომინვილი-4).

**ოტავა-ტორონტო 3:0**

1:0, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 კოვალიოვი-7 (ფიშერი-4), 2:0 ფიშერი-6 (მ. მიხალეკი-4, კოვალიოვი-6), 3:0 ფიშერი-7 (კოვალიოვი-7, მ. მიხალეკი-5).

**ტამპა ბეი-ფლორიდა 3:4 (ბ)**

1:0, 1:1, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 პურსელი-5 (სტემკოსი-18, მელოუნი-10), 2:0 ტირელი-3 (რიტოლა-3, დაუნი-11), 2:1 დვორაკი-5 (ბულიტი), 2:2 კულიკოვი-1, 2:3 მატიასი-4 (სანტორელი-3), 3:3 ბერგენჰაიმი-4 (პურსელი-12, მელოუნი-11).

**ბულიტები გაიტანეს:** ვეისი (ფლორიდა).

**ნეშვილი-რეინჯერსი 1:2 (ბ)**

1:0, 0:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 კ. უილსონი-3 (გოკი-5, ბუიონი-7), 1:1 კელეჰანი-7 (დელ ზოტო-6, დუბინსკი-8).

**ფინიქსი-ანაჰაიმი 4:6**

1:1, 2:2, 1:3

**გოლები:** 1:0 დ. მორისი-2 (რეი უიტნი-13, ვრბატა-8), 1:1 ჯ. ბლეიკი-4 (სექსტონი-2), 2:1 დოუნი-2 (აპშოლი-3, იენდლი-9), 3:1 იენდლი-4 (დოუნი-4, ვრბატა-9), 3:2 რაიანი-10 (გეტცლაფი-15, პერი-14), 3:3 რაიანი-11, 3:4 მაკმილანი-1 (გეტცლაფი-16, ფაულერი-9), 3:5 პერი-11 (გეტცლაფი-17, ფაულერი-10), 3:6 რაიანი-12 (გეტცლაფი-18, პერი-15), 4:6 აპშოლი-6 (კორპიკოსკი-6, დოუნი-5).

**სენტ ლუისი-დალასი 1:2**

0:0, 1:0, 0:2

**გოლები:** 1:0 კრომბინი-3 (ბერგლუნდი-9, ვინჩესტერი-1), 1:1 ბენი-5 (რიბეირო-17, მოროუ-5), 1:2 ლ. ერიქსონი-10 (ბ. რიჩარდსი-17, რობიდასი-9).

**კოლორადო-მინესოტა 7:4**

1:2, 4:1, 2:1

**გოლები:** 1:0 პ. შჩასტნი-9 (მატენკირკი-5, ჰეიდუკი-18), 1:1 მიეტინენი-6 (კლატერბეკი-2), 1:2 კულენი-5 (მიეტინენი-6, მ. კოივუ-14), 2:2 მაულდინი-2 (პ. შჩასტნი-13, რ. ო'ბირნი-2), 3:2 ჰეიდუკი-8 (კ. სტიუარტი-14, ლაილსი-19), 4:2 მაულდინი-3 (რ. უილსონი-4, მაკლეოდი-2), 5:2 მატენკირკი-4, 5:3 ბროძიაკი-3 (ჰავლატი-16), 6:3 დ. ჯონსი-10 (მაულდინი-3, რ. უილსონი-5), 7:3 დუშენი-6 (მაულდინი-4, მატენკირკი-6), 7:4 ბროძიაკი-4 (ჰავლატი-17, ჟიდლიცკი-9).

**ედმონტონი-სან ხოსე 3:4**

1:1, 0:2, 2:1

**გოლები:** 0:1 ფერეირო-1 (კუტური-5, ჯ. ბრაუნი-1), 1:1 სემ განიე-6 (პენერი-6), 1:2 ჰიტლი-10 (ჯ. ტორნტონი-15, დ. ბოილი-15), 1:3 ჰიტლი-11 (ჯ. ბრაუნი-2, ჯ. ტორნტონი-16), 1:4 პაველსკი-8 (მარლო-11, ჰიტლი-13), 2:4 ჰორკოფი-7 (ებერლე-10, რაიან უიტნი-18), 3:4 ვანდერმეერი-1 (სემ განიე-7).

**ლოს ანჯელესი-ჩიკაგო 1:2**

0:0, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 შარპი-15 (პ. კეინი-15, კიტი-13), 0:2 პ. კეინი-9 (კოპეცკი-9, შარპი-12), 1:2 კოპიტარი-8 (ჯ. ჯონსონი-14, რ. სმიტი-7).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### ცხელი ხაზი

#### კალათბურთი

##### NBA

| | |
|---|---|
| ტორონტო-ატლანტა | 78:96 |
| დეტროიტი-ნიუ იორკი | 116:125 (ო) |
| ნიუ ორლეანი-სან ანტონიო | 95:109 |
| კლიპერსი-იუტა | 97:109 |

##### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| კოლოსოსი-არისი | 89:70 |
| პაოკ-იკაროსი | 70:59 |
| პერისტერი-აეკ | 82:87 (ო) |
| კავალა-ირაკლისი | 79:65 |
| პანათინაიკოსი-მარუსი | 102:65 |
| პანელინიოსი-ოლიმპიაკოსი | 65:92 |

##### ესპანეთი

| | |
|---|---|
| სარაგოსა-ესტუდიანტესი | 84:70 |
| ალიკანტე-ხუვენტუდი | 71:75 |
| უნიკახა-ვალიადოლიდი | 68:61 |
| გრანადა-ბილბაო | 75:77 |
| ბარსელონა-მანრესა | 70:57 |
| კახა ლაბორალი-მენორკა | 79:61 |
| გრან კანარია-რეალი | 70:59 |
| ხირონა-ვალენსია | 75:82 |
| ფუენლაბრადა-კახასოლი | 81:68 |

##### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰაგენი-ჯაიანტსი | 58:86 |
| მიტლდოიჩე-ბამბერგი | 55:78 |
| ტიუბინგენი-ბრაუნშვაიგი | 81:68 |
| ტელეკომ ბონი-ოლდენბურგი | 74:72 |
| ალბა-სკაილაინერსი | 81:77 |
| ლუდვიგსბურგი-ბაიროიტი | 98:94 (ო) |
| ტრირი-ულმი | 85:79 |
| გოტინგენი-არტლანდი | 77:61 |

##### ისრაელი

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (მ)-მაკაბი (რ) | 75:66 |
| მაკაბი (ა)-მაკაბი (ჰ) | 75:72 |
| ჰაპოელი (გ)-ელიცური | 83:66 |
| მაკაბი (თ-ა)-ბნეი ჰაშარონი | 88:91 |

##### იტალია

| | |
|---|---|
| ბენეტონი-სკავოლინი | 91:59 |
| კაზერტა-კანტუ | 73:65 |
| ვარეზე-ბოლონია | 91:81 |
| ბიელა-აველინო | 86:85 (ო) |
| მონტეგრანარო-მილანი | 89:85 |
| რომა-ვანოლი | 70:84 |
| სასარი-ბრინდიზი | 94:89 |
| ტერამო-მონტეპასკი | 57:93 |

##### თურქეთი

| | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-ოლინი | 75:63 |
| ბეშიქთაში-ტრაბზონი | 94:85 |
| ბორნოვა-ერდემი | 66:65 |
| ბანვითი-თოფაში | 79:68 |
| მერსინი-ეფესი | 72:85 |

##### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| შალონი-ლიმოჟი | 81:60 |
| პარიზი-ტულონი | 70:101 |
| პო ორტეზი-ორლეანი | 75:97 |
| როანი-ვიში | 93:67 |
| სტრასბური-გრაველენი | 81:90 |
| ჰავრი-შოლე | 78:91 |

#### ჰოკეი

##### კჰლ

| | |
|---|---|
| ტრაქტორი-იუგრა | 2:2 |
| აკ ბარსი-ავტომობილისტი | 5:1 |
| ნეფტეხიმიკი-მეტალურგი (მ) | 8:1 |
| სპარტაკი-ავანგარდი | 2:5 |
| ს. იულიაევი-მეტალურგი (ნ) | 8:0 |
| ატლანტი-ლოკომოტივი | 2:3 |
| ვიტიაზი-ტორპედო | 4:3 |
| ცსკა-ამური | 5:3 |
| დინამო (რ)-სიბირი | 3:2 |

##### ავსტრია

| | |
|---|---|
| ვენა-ვილახი | 5:3 |
| გრაცი-კლაგენფიურტი | 3:4 (ბ) |
| ზალცბურგი-აკრონი | 6:4 |
| ლინცი-ალგა | 4:0 |
| ოლიმპია-ზაგრები | 1:2 |

##### ბელარუსი

| | |
|---|---|
| ვიტებსკი-შახტარი | 2:3 |
| ხიმიკი-ხიმვოლოკნო | 7:0 |
| მეტალურგი-გომელი | 1:3 |
| ნემანი-იუნოსტი | 2:5 |

##### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-ჰანოვერი | 3:2 (ო) |
| კიოლნი-აუგსბურგი | 4:2 |
| ვოლფსბურგი-მიუნხენი | 3:0 |
| დიუსელდორფი-ნიურნბერგი | 5:0 |
| იზერლონი-კრეფელდი | 0:2 |
| მანჰაიმი-შტრაუბინგი | 6:7 (ო) |

##### დანია

| | |
|---|---|
| ჰვიდოვრე-ოდენსე | 6:2 |

##### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-სტავანგერი | 4:3 (ო) |
| მანგლერუდი-ვოლერენგა | 2:3 (ბ) |
| სტორჰამარი-ფრისკ ასკერი | 7:0 |
| სტიორნენი-სპარტა | 1:2 |

##### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-ნიტრა | 5:3 |
| სკალიცა-ზვოლენი | 5:2 |
| ტრენჩინი-მარტინი | 5:2 |
| კოშიცე-პოპრადი | 3:1 |
| სლოვანი-ჟილინა | 2:0 |

##### ფინეთი

| | |
|---|---|
| ჰპკ-ტაპარა | 3:2 (ბ) |
| ილვესი-ბლუზი | 1:2 |
| კალპა-იუვიასკიულა | 0:3 |
| კერპეტი-ლუკო | 5:4 |
| საიპა-პელიკანსი | 3:0 |
| ესეტი-ჰიფკ | 2:3 (ბ) |

##### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| სპარტა-ვიტკოვიცე | 1:4 |
| ტრშინეცი-პლზენი | 4:0 |
| ბრნო-კლადნო | 3:0 |
| ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი | 3:2 (ო) |
| ლიტვინოვი-ლიბერეცი | 0:1 |
| ბოლესლავი-სლავია | 2:3 |
| ზლინი-პარდუბიცე | 3:4 |

##### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ამბრი-ლანგნაუ | 3:4 (ო) |
| ბილი-ლუგანო | 3:2 |
| დავოსი-კლოტენი | 4:1 |
| რაპერსვილი-ფრიბურგი | 3:1 |
| ციურიხი-ცუგი | 4:6 |
| ბერნი-ციურიხი | 6:3 |
| კლოტენი-ბილი | 5:2 |

##### შვედეთი

| | |
|---|---|
| ჰვ71-შელეფტეო | 4:1 |
| ბრიუნასი-იურგორდენი | 4:3 (ო) |
| ფრიოლუნდა-აიკ | 4:3 |
| ტიმრა-ლულეო | 1:4 |
| სიოდერტალე-ფერიესტადი | 6:2 |

#### ჩოგბურთი

##### ATP. ლონდონი

| | |
|---|---|
| ფედერერი-ნადალი | 6:3, 3:6, 6:1 |

### TV პროგრამა

#### 29 ნოემბერი. ორშაბათი

##### მზე

**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი (LIVE).

##### I არხი

**23:00** არენა.

##### რუსთავი 2

**00:00** საფეხბურთო ღამე.

##### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**07:35** გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-სანკტ პაული.
**09:20** ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ფლუმინენსე.
**11:10** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პარმა.
**13:00** ახალი ამბები.
**13:20** ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ალმერია.
**15:05** გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ვოლფსბურგი.
**16:50** ახალი ამბები.
**17:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:05** იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-რომა.
**19:50** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:45** საერთაშორისო პანორამა.
**21:45** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:45** ელ კლასიკო.
**23:50** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი (LIVE).
**01:55** საფეხბურთო ღამე.
**02:25** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**04:05** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
**05:55** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პარმა.

##### EUROSPORT

**11:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ასპენი. აშშ.
**12:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერ-გიგანტი. ლუიკ ლუისი. კანადა.
**13:00** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 10 კმ. ქალები. კუუსამო. ფინეთი.
**14:00** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 15 მ. კაცები, კუუსამო. ფინეთი.
**15:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
**16:30** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). ეინდჰოვენი. ჰოლანდია.
**17:45** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 10 კმ. ქალები. კუუსამო. ფინეთი.
**18:30** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 15 მ. კაცები, კუუსამო. ფინეთი.
**19:15** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
**20:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:15** ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
**22:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. წილისყრა. ფრანქფურტი. გერმანია (LIVE).
**23:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**23:45** მულტისპორტი.
**00:00** პრო-რესტლინგი.
**01:30** მულტისპორტი.
**01:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:15** ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
**03:30** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**03:45** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 10 კმ. ქალები. კუუსამო. ფინეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ATP-ის 2010 წლის სეზონი

| | |
|---|---|
| **იანვარი** | |
| ბრისბეინი, ავსტრალია (250, ჰ) | ენდი როდიკი-რადეკ შტეპანეკი 7:6(2), 7:6(7) |
| ჩენაი, ინდოეთი (250, ჰ) | მარინ ჩილიჩი-სტანისლას ვავრინკა 7:6(2), 7:6(3) |
| დოჰა, კატარი (250, ჰ) | ნიკოლაი დავიდენკო-რაფაელ ნადალი 0:6, 7:6(8), 6:4 |
| სიდნეი, ავსტრალია (250, ჰ) | მარკო ბალდატისი-რიშარ გასკე 6:4, 7:6(2) |
| ოკლენდი, ზელანდია (250, ჰ) | ჯონ ისნერი-არნო კლემანი 6:3, 5:7, 7:6(2) |
| ავსტრალიის ღია (დიდი სლემი, ჰ) | როჯერ ფედერერი-ენდი მიურეი 6:3, 6:4, 7:6(11) |
| **თებერვალი** | |
| იოჰანესბურგი, ს. აფრიკა (250, ჰ) | ფელისიანო ლოპესი-სტეფან რობერი 7:5, 6:1 |
| ზაგრები, ხორვატია (250, ჰ) | მარინ ჩილიჩი-მიხაელ ბერერი 6:4, 6:7(5), 6:3 |
| სანტიაგო, ჩილე (250, გ) | ტომაშ ბელუჩი-ხუან მონაკო 6:2, 0:6, 6:4 |
| სან ხოსე, აშშ (250, ჰ) | ფერნანდო ვერდასკო-ენდი როდიკი 3:6, 6:4, 6:4 |
| როტერდამი, ჰოლანდია (500, ჰ) | რობინ სიოდერლინგი-მიხაილ იუჟნი 6:4, 2:0 უარი |
| კოსტა დო საუპე, ბრაზილია (250, გ) | ხუან კარლოს ფერერო-ლუკაშ კუბოტი 6:1, 6:0 |
| მარსელი, საფრანგეთი (250, ჰ) | მიკაელ ლოდრა-ჟულიან ბენეტო 6:3, 6:4 |
| მემფისი, აშშ (500, ჰ) | სემ კუერი-ჯონ ისნერი 6:7(3), 7:6(5), 6:3 |
| ბუენოს აირესი, არგენტინა (250, გ) | ხუან კარლოს ფერერო-დავიდ ფერერი 5:7, 6:4, 6:3 |
| დუბაი, საემიროები (500, ჰ) | ნოვაკ ჯოკოვიჩი-მიხაილ იუჟნი 7:5, 5:7, 6:3 |
| აკაპულკო, მექსიკა (500, გ) | დავიდ ფერერი-ხუან კარლოს ფერერო 6:3, 3:6, 6:1 |
| დელრეი ბიჩი, აშშ (250, ჰ) | ერნესტ გულბისი-ივო კარლოვიჩი 6:2, 6:3 |
| **მარტი** | |
| ინდიან უელსი, აშშ (მასტერსი, ჰ) | ივან ლუბიჩიჩი-ენდი როდიკი 7:6(3), 7:6(5) |
| მაიამი, აშშ (მასტერსი, ჰ) | ენდი როდიკი-ტომაშ ბერდიხი 7:5, 6:4 |
| **აპრილი** | |
| კასაბლანკა, მაროკო (250, გ) | სტანისლას ვავრინკა-ვიქტორ ჰანესკუ 6:2, 6:3 |
| ჰიუსტონი, აშშ (250, გ) | ხუან იგნასიო ჩელა-სემ კუერი 5:7, 6:4, 6:3 |
| მონაკო (მასტერსი, გ) | რაფაელ ნადალი-ფერნანდო ვერდასკო 6:0, 6:1 |
| ბარსელონა, ესპანეთი (500, გ) | ფერნანდო ვერდასკო-რობინ სიოდერლინგი 6:3, 4:6, 6:3 |
| რომი, იტალია (მასტერსი, გ) | რაფაელ ნადალი-დავიდ ფერერი 7:5, 6:2 |
| **მაისი** | |
| მიუნხენი, გერმანია (250, გ) | მიხაილ იუჟნი-მარინ ჩილიჩი 6:3, 4:6, 6:4 |
| ბელგრადი, სერბეთი (250, გ) | სემ კუერი-ჯონ ისნერი 3:6, 7:6(4), 6:4 |
| ეშტორილი, პორტუგალია (250, გ) | ალბერტ მონტანიესი-ფრედერიკო ჟილი 6:2, 6:7(4), 7:5 |
| მადრიდი, ესპანეთი (მასტერსი, გ) | რაფაელ ნადალი-როჯერ ფედერერი 6:4, 7:6(5) |
| დიუსელდორფი, გერმანია | არგენტინა-აშშ 2:1 |
| ნიცა, საფრანგეთი (250, გ) | რიშარ გასკე-ფერნანდო ვერდასკო 6:3, 5:7, 7:6(5) |
| საფრანგეთის ღია (დიდი სლემი, გ) | რაფაელ ნადალი-რობინ სიოდერლინგი 6:4, 6:2, 6:4 |
| **ივნისი** | |
| ჰალე, გერმანია (250, ბ) | ლეიტონ ჰიუიტი-როჯერ ფედერერი 3:6, 7:6(4), 6:4 |
| ლონდონი, ბრიტანეთი (250, ბ) | სემ კუერი-მარდი ფიში 7:6(3), 7:5 |
| ჰერტოგენბოში, ჰოლანდია (250, ბ) | სერგეი სტახოვსკი-იანკო ტიპსარევიჩი 6:3, 6:0 |
| ისტბურნი, ბრიტანეთი (250, ბ) | მიკაელ ლოდრა-გილერმო გარსია ლოპესი 7:5, 6:2 |
| უიმბლდონი (დიდი სლემი, ბ) | რაფაელ ნადალი-ნოვაკ ჯოკოვიჩი 6:3, 7:5, 6:4 |
| **ივლისი** | |
| ნიუპორტი, აშშ (250, ბ) | მარდი ფიში-ოლივიე როხუსი 5:7, 6:3, 6:4 |
| შტუტგარტი, გერმანია (250, გ) | ალბერტ მონტანიესი-გაელ მონფილსი 6:2, 1:2 უარი |
| ბასტადი, შვედეთი (250, გ) | ნიკოლას ალმაგრო-რობინ სიოდერლინგი 7:5, 3:6, 6:2 |
| ჰამბურგი, გერმანია (500, გ) | ანდრეი გოლუბევი-იურგენ მელცერი 6:3, 7:5 |
| ატლანტა, აშშ (250, ჰ) | მარდი ფიში-ჯონ ისნერი 4:6, 6:4, 7:6(4) |
| გშტაადი, შვეიცარია (250, გ) | ნიკოლას ალმაგრო-რიშარ გასკე 7:5, 6:1 |
| ლოს ანჯელესი, აშშ (250, ჰ) | სემ კუერი-ენდი მიურეი 5:7, 7:6(2), 6:3 |
| უმაგი, ხორვატია (250, გ) | ხუან კარლოს ფერერო-პოტიტო სტარაჩე 6:4, 6:4 |
| **აგვისტო** | |
| ვაშინგტონი, აშშ (500, ჰ) | დავიდ ნალბანდიანი-ქსავიე მალისე 6:2, 7:6(4) |
| ტორონტო, კანადა (მასტერსი, ჰ) | ენდი მიურეი-როჯერ ფედერერი 7:5, 7:5 |
| ცინცინატი, აშშ (მასტერსი, ჰ) | როჯერ ფედერერი-მარდი ფიში 6:7(5), 7:6(1), 6:4 |
| ნიუ ჰევენი, აშშ (250, ჰ) | სერგეი სტახოვსკი-დენის ისტომინი 3:6, 6:3, 6:4 |
| აშშ-ის ღია (დიდი სლემი, ჰ) | რაფაელ ნადალი-ნოვაკ ჯოკოვიჩი 6:4, 5:7, 6:4, 6:2 |
| **სექტემბერი** | |
| მეცი, საფრანგეთი (250, ჰ) | ჟილ სიმონი-მიშა ზვერევი 6:3, 6:2 |
| ბუქარესტი, რუმინეთი (250, გ) | ხუან იგნასიო ჩელა-პაბლო ანდუხარი 7:5, 6:1 |
| ბანგკოკი, ტაილანდი (250, ჰ) | გილერმო გარსია ლოპესი-იარკო ნიემინენი 6:4, 3:6, 6:4 |
| კუალა ლუმპური, მალაიზია (250, ჰ) | მიხაილ იუჟნი-ანდრეი გოლუბევი 6:7(7), 6:2, 7:6(3) |
| **ოქტომბერი** | |
| პეკინი, ჩინეთი (500, ჰ) | ნოვაკ ჯოკოვიჩი-დავიდ ფერერი 6:2, 6:4 |
| ტოკიო, იაპონია (500, ჰ) | რაფაელ ნადალი-გაელ მონფილსი 6:1, 7:5 |
| შანხაი, ჩინეთი (მასტერსი, ჰ) | ენდი მიურეი-როჯერ ფედერერი 6:3, 6:2 |
| მოსკოვი, რუსეთი (250, ჰ) | ვიქტორ ტროიცკი-მარკოს ბალდატისი 3:6, 6:4, 6:3 |
| სტოკჰოლმი, შვედეთი (250, ჰ) | როჯერ ფედერერი-ფლორიან მაიერი 6:4, 6:3 |
| სანკტ პეტერბურგი, რუსეთი (250, ჰ) | მიხაილ კუკუშკინი-მიხაილ იუჟნი 6:3, 7:6(2) |
| ვენა, ავსტრია (250, ჰ) | იურგენ მელცერი-ანდრეას ჰაიდერ მაურერი 6:7(10), 7:6(4), 6:4 |
| მონპელიე, საფრანგეთი (250, ჰ) | გაელ მონფილსი-ივან ლუბიჩიჩი 6:2, 5:7, 6:1 |
| **ნოემბერი** | |
| ვალენსია, ესპანეთი (500, ჰ) | დავიდ ფერერი-მარსელ გრანოლერსი 7:5, 6:3 |
| ბაზელი, შვეიცარია (500, ჰ) | როჯერ ფედერერი-ნოვაკ ჯოკოვიჩი 6:4, 3:6, 6:1 |
| პარიზი, საფრანგეთი (მასტერსი, ჰ) | რობინ სიოდერლინგი-გაელ მონფილსი 6:1, 7:6(1) |
| ATP World Tour Finals (ჰ) | როჯერ ფედერერი-რაფაელ ნადალი 6:3, 3:6, 6:1 |

**ტიტულები (მოთამაშეები)**

7 - რაფაელ ნადალი;
5 - როჯერ ფედერერი;
4 - სემ კუერი;
3 - ხუან კარლოს ფერერო;
2 - მარდი ფიში, ენდი მიურეი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, ხუან იგნასიო ჩელა, მიკაელ ლოდრა, ალბერტ მონტანიესი, სერგეი სტახოვსკი, მიხაილ იუჟნი, რობინ სიოდერლინგი, ენდი როდიკი, დავიდ ფერერი, ფერნანდო ვერდასკო, ნიკოლას ალმაგრო, მარინ ჩილიჩი;
1 - იურგენ მელცერი, ჯონ ისნერი, გილერმო გარსია ლოპესი, ვიქტორ ტროიცკი, ივან ლუბიჩიჩი, ანდრეი გოლუბევი, დავიდ ნალბანდიანი, მარკოს ბალდატისი, ტომაშ ბელუჩი, ნიკოლაი დავიდენკო, რიშარ გასკე, ერნესტ გულბისი, ლეიტონ ჰიუიტი, მიხაილ კუკუშკინი, ფელისიანო ლოპესი, გაელ მონფილსი, ჟილ სიმონი, სტანისლას ვავრინკა.

**ტიტულები (ქვეყნები)**

20 - ესპანეთი;
9 - აშშ;
6 - შვეიცარია;
5 - საფრანგეთი;
3 - სერბეთი, არგენტინა, რუსეთი, ხორვატია;
2 - შვედეთი, ბრიტანეთი, უკრაინა, ყაზახეთი;
1 - ავსტრია, ავსტრალია, ბრაზილია, კვიპროსი, ლატვია.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ATP. წლის შემაჯამებელი ტურნირი

# ბოლო წერტილი ფედერერმა დასვა

ნახევარფინალური წყვილების შემხედვარე თამამად შეიძლებოდა იმის თქმა, რომ წლის შემაჯამებელმა ტურნირმა გაამართლა - საუკეთესო ოთხეული თანამედროვე ჩოგბურთის უძლიერესმა წარმომადგენლებმა დააკომპლექტეს.

სათამაშო დღე **რაფაელ ნადალმა** და **ენდიმ მიურეიმ** გახსნეს, რომელთა შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 8:4 იყო ესპანელის სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ მათი დაპირისპირებები განსაკუთრებული ბრძოლით არ გამოირჩეოდა და მხოლოდ ორ მატჩში მივიდა საქმე გადამწყვეტ სეტამდე. მაგრამ ლონდონურმა ნახევარფინალმა ყველა წინა შეხვედრა დაჩრდილა.

ჯგუფური ეტაპის მატჩებისგან განსხვავებით, პირველ სეტში ნადალი იშვიათად უშვებდა შეცდომებს, მიურეის კი მოწოდება ჰქონდა უმაღლეს დონეზე და სეტში ცხრა, მთლიანად მატჩში კი 22 ეისი დააგროვა. საბოლოოდ, მეტოქეებმა ერთი ბრეიკ-პოინტიც ვერ მიიღეს და თამაში ტაი-ბრეიკზე გაგრძელდა. აქ მსოფლიოს პირველი ჩოგანი მუდმივად წინ იყო და მიღებაზე პირველი სეტბოლი მიიღო. მიურეის მოწოდებამ ვერ უშველა და ნადალმა გამარჯვება გაიფორმა - 7:6(7:5).

განაწყენებულმა ენდიმ კინაღამ წააგო მეორე სეტის სტარტზე საკუთარი მოწოდება, მაგრამ გაძლო და უკვე პარტიის მეორე ნახევარში საკუთარი აქტიური თამაშის წყალობით ერთბაშად ორი ბრეიკი გაიფორმა - 6:3.

გადამწყვეტ სეტში ძალთა თანაფარდობა მუდმივად იცვლებოდა. მიურეიმ მეორე გეიმში საკუთარი მოწოდება დათმო, არადა სამი გეიმბოლი ჰქონდა. მალე მან ორი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ ნადალს კარგმა მოწოდებამ უშველა. ესპანელს შეეძლო მიღებაზე დაესრულებინა შეხვედრა, თუმცა მეტოქის მეორე მოწოდებისას ხელი აუკანკალდა და მატჩბოლი ვერ გამოიყენა. ხოლო, როცა ესპანელი მატჩზე აწვდიდა, ენდიმ მაქსიმალური კონცენტრაცია გამოიჩინა და რაფას რამდენიმე შეცდომა დააშვებინა. საბოლოოდ, აქაც ყველაფერი ტაი-ბრეიკს უნდა გადაეწყვიტა. ამჯერად წინ შოტლანდიელი გავიდა, რომელმაც ორი მინი-ბრეიკი გააკეთა, მაგრამ მალე ანგარიში გათანაბრდა. ენდიმ მაინც ვერ მიაღწია მატჩბოლამდე, რაფამ კი ჯერ ერთი შანსი გაანიავა, მაგრამ მესამე ცდაზე ბრწყინვალე შეტევით მოიპოვა გადამწყვეტი ქულა - 7:6(5), 3:6, 7:6(6). შეხვედრა 3 საათსა და 11 წუთს გაგრძელდა.

პრაქტიკულად უბრძოლველად ჩაიარა მეორე ნახევარფინალმა **როჯერ ფედერერსა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩს** შორის, რომელშიც შვეიცარიელმა რევანში აიღო ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალში დამარცხების გამო. როჯერს პრაქტიკულად ყველაფერი გამოსდიოდა - მიზანს აღწევდა მისი საფირმო დარტყმები და თან კარგად მოქმედებდა დაცვაში. ამის გამო ჯოკოვიჩი ზედმეტად ნერვიულობდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. სერბმა პირველივე საკუთარი მოწოდება წააგო, შემდეგ რამდენიმე გეიმში ბრძოლა მოახვია თავს როჯერს, მაგრამ მუდმივად დამარცხებული რჩებოდა.

მეორე პარტიაში ფედერერის მოქმედებაში დროებითი ჩავარდნა იყო, რითაც კარგად ისარგებლა ჯოკოვიჩმა და 3:0 გავიდა წინ. მაგრამ როგორც კი როჯერმა ძველი თამაში დაიბრუნა, მაშინვე დაეწია და გაუსწრო მეტოქეს. სერბი მხოლოდ ეპიზოდებში აჩვენებდა კარგ თამაშს, მატჩის ბოლო ნაწილმა კი თითქმის უბრძოლველად ჩაიარა - 6:1, 6:4.

■ ■ ■

ასე რომ, ფინალში სავსებით ლოგიკურად ის ჩოგბურთელები გავიდნენ, რომლებმაც მთელი ეს დისტანცია წაუგებლად გაიარეს. აღსანიშნავია, რომ წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში 1986 წლის შემდეგ არ უთამაშიათ მსოფლიოს პირველ და მეორე ჩოგნებს. მაშინ **ივან ლენდლი ბორის ბეკერზე** ძლიერი აღმოჩნდა.

ფინალში ფავორიტად ფედერერს მიიჩნევდნენ, ვინაიდან ის რეალურად უკეთეს ფორმაში შეხვდა ტურნირს და სეტის წაუგებლად მიაღწია გადამწყვეტ მატჩამდე, იმ დროს, როცა ნადალს ორი სამსეტიანი მატჩის ჩატარებამ მოუწია. მაგრამ ესპანელის ბრძოლისუნარიანობა და ხასიათის სიმტკიცე საყოველთაოდ არის ცნობილი და მის ნაადრევად ჩამოწერას არავინ აპირებდა.



ფედერერმა პრიზი მეხუთედ მოიგო

პირველ სეტში 3:3-მდე მეტოქეები დამაჯერებლად იგებდნენ საკუთარ მოწოდებებს, მაგრამ მეშვიდე გეიმში როჯერს კრიტიკული მომენტი დაუდგა - ნადალი მეტოქის მოწოდებაზე 30:0 დაწინაურდა, თუმცა შვეიცარიელმა ზედიზედ ოთხი გათამაშება მოიგო და საკუთარი გულშემატკივრები დააწყნარა. ფედერერმა კი თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა და მერვე გეიმში ბრეიკი მოიპოვა, თანაც პირველივე ბრეიკ-პოინტი გამოიყენა. თავისი გეიმის „მშრალი“ ანგარიშით მოგებით ფედერერმა პირველ სეტს წერტილი დაუსვა - 6:3.

მეორე სეტშიც ყველაფერი ერთადერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა. ნადალმა მატჩში პირველი ბრეიკ-პოინტი მეოთხე გეიმში მიიღო - 40:15 დაწინაურდა და მეორე ცდით აიღო მეტოქის მოწოდება - 3:1. ამ სეტში ფედერერს ანგარიშის გათანაბრების ერთადერთი შანსი მიეცა, როცა მეხუთე გეიმში 40:30-ს იგებდა. აქ იღბალი ნადალის მხარეს აღმოჩნდა - ბრეიკ-პოინტის დროს ესპანელის დარტყმა ბადეს მოხვა და კორტის მეორე მხარეს ჩაეშვა. დარჩენილ დროში ნადალი დამაჯერებლად ინარჩუნებდა თავის მოწოდებას, რამაც პარტიაში გამარჯვება მოუტანა.

პუბლიკა საინტერესო გადამწყვეტი სეტის სანახავად მოემზადა, მაგრამ აქ მათ ყველაზე დიდი იმედგაცრუება ელოდათ. შვეიცარიელმა მესამე პარტია ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა, მის გეიმებზე ნადალს ერთი შანსიც არ ჰქონია, როჯერმა კი სამი ბრეიკი აიღო და 6:1 მოიგო. კომენტარი ზედმეტია!

გამართლდა წინასამატჩო პროგნოზები, რომლის მიხედვითაც უპირატესობა შვეიცარიელს მიენიჭა. ნადალი აშკარად ცუდ ფიზიკურ ფორმაში შეხვდა ტურნირს, თანაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ლონდონური სწრაფი ჰარდი რაფასთვის ყველაზე არასასურველი საფარია. შემთხვევითი არ არის, რომ ესპანელმა კარიერაში პირველად ითამაშა წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში, რაც უკვე წარმატება იყო მისთვის. ფედერერმა კი ეს ტურნირი მეხუთედ მოიგო და დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია და 2011 წლის სეზონში შვეიცარიელი რეიტინგში დაკარგული პირველი პოზიციის დაბრუნებას ეცდება.

ფედერერისთვის ეს იყო კარიერაში 66-ე ტიტული, სეზონში - მეხუთე. ამ მაჩვენებლით 2010 წლის ლიდერი ნადალი გახდა - მან სეზონი შვიდი ტიტულით დაასრულა.